პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი № 207 (12719) | ოთხშაბათი, 4 სექტემბერი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

სამშობლოს ბელლებში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ბელორუსიის სსრ კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციათა საწარმოო სამმართველოების მუშაკებსა და ყველა მშრომელს მიულოცეს შრომითი გამარჯვება — სახელმწიფოსათვის მარცვლის მიყიდვის გეგმის წარმატებით შესრულება. რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სამშობლოს ბელლებში უკვე შეინახეს 19 მილიონი ფუთი მარცვალი. ეს წარმატებანი მსოფლიოს აღების დროს თავდადებული შრომის შედეგია.

ბელორუსიის მინდვრის მშრომელები სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვისადმი გაგზავნილ წერილში იუწყებიან, რომ რესპუბლიკის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები განაგრძობენ მარცვლის ჩაბარებას გეგმის გადამეტებით. სულ სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მიეყიდება ერთი მილიონ 100 ათასი ფუთი მარცვალი. აგრეთვე ისინი იუწყებიან, რომ რესპუბლიკაში მოყვანილია სელის კარგი მოსავალი. სელის გლეჯა უკვე დამთავრდა, მთავრდება მისი გალეწვა და სელის ნამჯის გაშლა. მოწინავე მეურნეობებმა დაიწყეს სახელმწიფოსათვის სელის პროდუქციის ჩაბარება. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები შეუდგნენ სამინდის აღებასა და დასილოსებას, კარტოფილის ამოღებას, ემზადებიან შაქრის ჭარხლის ასაღებად. მათ მიზნად დაისახეს დაამზადონ რაც შეიძლება მეტი საკვები, კარგად გამოაზამთრონ პირუტყვი, მტკიცე საფუძველი ჩაუყარონ მომავალი წლის მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებას.

რესპუბლიკაში გაჩაღდა საშემოდგომო კულტურების მასობრივი თესვა. მათი ფართობი 120 ათასი ჰექტარით და მეტად დიდდება. ფართო ფრონტით წარმოებს მზრალად ხვნა. (საკდესი).

„ნაყოფიერების ქარხანა“

სუმგაითი (აზერბაიჯანის სსრ) 3 სექტემბერი. (საკდესის კორ.). სახელმწიფო კომისიამ საექსპლოატაციოდ მიიღო სუმგაითის სუპერფოსფატის ქარხანა. ეს ქარხანა ერთ-ერთი უდიდესი საწარმოა სსრ კავშირში ამგვარ საწარმოთა შორის. „ნაყოფიერების ქარხანა“ საუსებით უზრუნველყოფს ამიერკავკასიის, ყუბანის, სტავროპოლის მხარისა და კავკასიის სხვა რაიონების მოთხოვნილებას ქიმიურ სასუქზე.

დიდი ქიმიის ახალი საწარმო აღჭურვილია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით.

ბაკურიანი — ბაკურიანი

ავტოკავშირის კავკასიონის ხრამეგს

მოსკოვი, 2 სექტემბერი. (საკდესის კორ.). მთავარი კავკასიონის ქედის შეტევა დამთავრდა. ორჯონიკიძე-თბილისის გაზსადენის მშენებლებმა მთის უძნელეს პირობებში გაიარეს 193 კილომეტრი. ამ გზაზე თითქმის დამთავრდა მილსადენის შედუღება, ამის შესახებ საკდესის კორესპონდენტს აუწყეს გაზის მრეწველობის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტში, დარჩა მხოლოდ რამდენიმე გადასასვლელის აგების სამუშაოები.

ორჯონიკიძე-თბილისის ტრასა ყველაზე ძნელ ტრასად ითვლება. „ცისფერი სათბობის“ მაგისტრალების მშენებლებს არასოდეს უშრომიათ ასეთ ღრუბელთმიერ სიმაღლეებზე. აქ სწორედ ასე იყო. მილსადენი გადის ორიათას კილომეტრზე მეტ სიმაღლეზე. ცნობილ დარიალის ხეობაში გაყვანილია გვირაბები. ას კილომეტრზე მეტი ტრასა გადის კლდეებსა და ციცაბო ფერდობებზე.

ორჯონიკიძე-თბილისის მილსადენში გაივლიან სტავროპოლის მხარისა და მაიკოპის საბალოთა გაზი.

საქართველოს დედაქალაქი გაზს მიიღებს სექტემბრის ბოლოს.

ფოტო მ. ბარანაუსკასისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

ვაშენოთ სწრაფად, იაფად და ხარისხიანად

მშენებლობის ხარისხის სრულიად საკავშირო დათვალიერება

□

მოსკოვი, 1 სექტემბერი. (საკდესის კორ.). დღეს მთელ ჩვენს ქვეყანაში დაიწყო მშენებლობის ხარისხის ორთვიანი სრულიად საკავშირო საზოგადოებრივი დათვალიერება.

...საბჭოთა კავშირის სამშენებლო მოედნებზე შრომობს 6 მილიონზე მეტი კაცი. გამოანგარიშებულია, რომ საშუალოდ ჩვენს სამშობლოში ყოველდღიურად შენდება ორი-სამი სამრეწველო საწარმო, ახალ მოსახლეთა განკარგულებაში გადადის 7 ათასზე მეტი ბინა. საბინაო მშენებლობის მოცულობითა და ტემპით სსრ კავშირს მტკიცედ უჭირავს პირველი ადგილი მსოფლიოში.

მაგრამ ბევრი საშენებლო ორგანიზაციის მუშაობაში ჯერ კიდევ არის ნაკლი. ხშირია შემთხვევები, როცა საცხოვრებელ კორპუსებს, სამრეწველო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობებს საექსპლოატაციოდ გადასცემენ დაუმთავრებლად. ყოველთვის არ არის სრულად გამოყენებული სამშენებლო ინდუსტრიის სიმძლავრენი.

სრულიად საკავშირო დათვალიერების დღეებში თითოეულ ახალ მშენებლობაზე, საპროექტო, სამეცნიერო-საკვლევ ორგანიზაციებში, დეტალებისა და მასალების მიმწოდებელ საწარმოებში შეიქმნება დამთვალიერებელი საგუშაგოები და კომისიები. მათი ამოცანა ის არის, რომ გამოავლინონ და შექმნან პირობები მუშაობის ხარისხის ასამაღლებლად, თვალყური ადევნონ იმას, რომ შენობები შენდებოდეს არა მარტო სწრაფად და იაფად, არამედ შენობები იყოს მტკიცე, ხარისხიანი.

გამოცხადდა კონკურსი საუკეთესო მშენებლობისათვის ტიპური პროექტებით, უფრო მეტად ეკონომიური ინდუსტრიული კონსტრუქციებისა და დეტალების შემუშავებისა და დანერგვისათვის.

თექვსმეტსართულიანი სასტუმრო

მოსკოვი, (საკდესი). ლენინის პროსპექტზე დაიწყო დედაქალაქის უდიდესი შენობის საკავშირო პროფსაბჭოს თექვსმეტსართულიანი სასტუმროს საძირკვლის ჩაყრა. მას აშენებენ საკავშირო პროფსაბჭოს ადმინისტრაციული შენობის მახლობლად. თითქმის ორმოცდაათი მეტრი სიმაღლის ახალი სასტუმრო კარგად შეერწყმება პროსპექტის არქიტექტურულ ანსამბლს. სასტუმრო საექსპლოატაციოდ გადაეცემა 1965 წელს.

ნ. ს. ხრუშჩოვი ბელგრადიდან გამოემგზავრა

ბელგრადი, 3 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტები დ. ბოჩაროვი და ი. ტიტოვი იტყობინებიან:

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ნ. ს. ხრუშჩოვი** და მისი მეუღლე, რომლებიც დასასვენებლად იმყოფებოდნენ იუგოსლავიაში პრეზიდენტ **ი. ბროზ ტიტოს** მოწვევით, დღეს სპეციალური თვითმფრინავით გაემგზავრნენ ბელგრადიდან სამშობლოში. მათთან ერთად მოსკოვს გაფრინდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ი. ვ. ანდროპოვი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ნ. გ. ეგორიჩევი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ ლენინგრადის სამრეწველო საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. ს. ტოლსტიკოვი.**

ბელგრადის სურჩინის აეროპორტში, რომელიც მორთული იყო საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის სახელმწიფო ალმებით, საბჭოთა სტუმრები გააცილეს იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, საკავშირო სკუპშჩინის თავმჯდომარემ **ე. კარდელმა,** იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, იუგოსლავიის ვიცე-პრეზიდენტმა **ა. რანკოვიჩმა,** იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის აღმასრულებელი კომიტეტის წევრმა, საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარემ **პ. სტამბოლიჩმა,** იუგოსლავიის მშრომელი ხალხის სოციალისტური კავშირის საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარემ **ლ. კოლიშევსკიმ,** იუგოსლავიის პროფკავშირთა კავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ **ს. ვუკმანოვიჩმა,** სერბიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ი. ვესელინოვმა,** ბოსნიისა და ჰერცეგოვინის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **დ. პუცარმა,** სახალხო თავდაცვის საქმეთა სახელმწიფო მდივანმა არმიის გენერალმა **ი. გოშნიაკმა,** აგრეთვე იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობისა და სერბიის სოციალისტური რესპუბლიკის პასუხისმგებელმა მუშაკებმა, საკავშირო სკუპშჩინის დეპუტატებმა, იუგოსლავიის სახალხო არმიისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა.

თვით ბელგრადში და მთელ გზაზე აეროპორტამდე ნ. ს. ხრუშჩოვსა და ი. ბროზ ტიტოს გულითადად მიესალმებოდა იუგოსლავიის დედაქალაქის ათასობით მცხოვრები, ისინი მშვიდობით მგზავრობას უსურვებდნენ საბჭოთა სტუმრებს.

9 საათსა და 45 წუთზე აეროპორტში ღია მანქანით მივიდნენ ნ. ს. ხრუშჩოვი და ი. ბროზ ტიტო. აეროდრომზე შეკრებილნი მხურვალედ მიესალმნენ მათ.

საფრენ მოედანზე ჩამწკრივებულია გვარდიის საპატიო ყარაული. საზეიმოდ ყოერს საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის სახელმწიფო ჰიმნები. ნ. ს. ხრუშჩოვმა და ი. ბროზ ტიტომ ჩამოუარეს საპატიო ყარაულის მწყობრს. გაისმის სალუტის საარტილერიო ზალპები.

საბჭოთა მთავრობის მეთაური მივიდა იუგოსლავიაში საბჭოთა დაწესებულებების მუშაკებთან და მათი ოჯახების წევრებთან, რომლებიც აეროდრომზე აცილებენ მას. საბჭოთა პიონერებმა და მოსწავლეებმა ყვავილები მიართვეს ნიკიტა სერგის-ძეს, ნინო პეტრეს ასულსა და სხვა ამხანაგებს.

შემდეგ საბჭოთა მთავრობის მეთაური გამოეთხოვა ბელგრადში დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ხელმძღვანელებს, იუგოსლავიის ხელმძღვანელებს.

მიკროფონთან მიდის ი. ბროზ ტიტო და სიტყვას ამბობს.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

იუგოსლავიის პრეზიდენტი და საბჭოთა მთავრობის მეთაური გულთბილად გამოეთხოვნენ ერთმანეთს. ი. ბროზ ტიტომ მშვიდობით მგზავრობა უსურვა ნ. ს. ხრუშჩოვს.

გამოთხოვებისას საბჭოთა სტუმრებს ყვავილები მიართვეს იუგოსლავმა პიონერებმა და მოსწავლეებმა. ამის შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვი გამოეთხოვა საბჭოთა კავშირის ელჩს იუგოსლავიაში ა. მ. პუზანოვს, იგი ტრაპით ადის და გულითადად უქნევს ხელს გამცილებლებს.

„ილ-18“ ჰაერში აფრინდა და კურსი აიღო მოსკოვისაკენ. იუგოსლავიის სამხედრო-საჰაერო ფლოტის ოთხი რეაქტიული ავიაგამანადგურებელი სპეციალურ თვითმფრინავს, რომელშიც საბჭოთა მთავრობის მეთაურია, მიაცილებს იუგოსლავია-უნგრეთის საზღვრამდე.

მოსკოვის სალშეკრულება დიდნიშვნელოვანი მიღწევაა

ლონდონი, 3 სექტემბერი. (საკდესი). იმ ქვეყნების რიცხვი, რომლებმაც ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ, გვიჩვენებს, რომ მსოფლიომ მოიწონა ეს ხელშეკრულება, წერს დღეს თვალსაჩინო ინგლისელი ფიზიკოსი — ატომისტი სერ ჯონ კოკროფტი სტატიაში, რომელიც გაზეთ „ტაიმსში“ გამოქვეყნდა.

კოკროფტი მიესალმება მოსკოვის ხელშეკრულებას და მიაჩნია იგი „დიდმნიშვნელოვან მიღწევად“, რომელსაც შეუძლია გზა გაუხსნას საერთაშორისო პრობლემების მშვიდობიანი მოწესრიგების შემდგომ შეთანხმებებს. ავტორი გამოთქვამს რწმენას, რომ ხელშეკრულება ხელს შეუწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და მოამზადებს საფუძველს შემდგომი ნაბიჯისათვის განიარაღების სფეროში და სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის გზაზე.

დემონსტრაცია ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 3 სექტემბერი. (საკდესი). 100 ათასზე მეტმა კაცმა მიიღო მონაწილეობა გუშინ დემონსტრაციაში, რომელიც აქ გაიმართა „მრომის დღის“ ტრადიციულ დღესასწაულთან დაკავშირებით. დემონსტრაციამ ჩაიარა ლოზუნგით: „სრული დასაქმებისათვის და თანასწორი შესაძლებლობისათვის სამუშაოზე დაქირავების დროს“.

ბევრ ტრანსპარანტზე წარწერილი იყო მოთხოვნები, რომ ბოლო მოეღოს სხვადასხვა ფორმის სამარცხვინო რასობრივ სეგრეგაციას.

აღმაშფოთებელი დისკრიმინაცია

ლონდონი, 3 სექტემბერი. (საკდესი). „ფერადკანიან“ (ასე უწოდებენ რასისტულ „რესპუბლიკაში“ შერეული რასების ადამიანებს) მოსწავლეებს ნებას არ დართავენ დაესწრონ შექსპირის ტრაგედია „მეფე ლირის“ წარმოდგენას, რომელიც ეძღვნება სასწავლო წლის დაწყებას, წერს სამხრეთ აფრიკის გაზეთი „სტარი“. ფერადფრდის ხელისუფალთა ეს ახალი ანეკდოტური ღონისძიება მიღებულია აპარტიდის ყბადაღებული პოლიტიკის შესაბამისად, რომელსაც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ახორციელებენ.

მახარაძელ მეჩაიეთა წარმატება

მახარაძე. (საკ. კორ.). ჩაის უხვი მოსავლის მიღებინ ტრადიცია აქვთ მახარაძელ მეჩაიეებს. ფლეიფლოგით ზრდიან მოსავალს, აუმჯობესებენ ნედლეულის ხარისხს. ამ დღეებში მახარაძელებმა ჩაის ფოთლის კრეფის ფლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 37.605 ტონისა სახელმწიფოს მიჰყიდეს 37.680 ტონა „მწვანე ოქრო“.

მახარაძელ მეჩაიეთა ახალი ვალდებულებაა სეზონში სახელმწიფოს მისცეს 42.000 ტონა ნედლეული.

უკანასკნელ საათს

შვიდწლედის მეხუთე წლის ზაფხული გავიდა. დადგა შემოდგომა. ბევრი საწარმოო სამმართველოს მშრომელებმა კარგად გამოიყენეს ზაფხულის ხელსაყრელი ამინდები და წარმატებას მიაღწიეს პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის საქმეში. ბუნებრივი და ნათესი ბალახების თიბვის ფლიური გეგმა რესპუბლიკაში დიდი გადაჭარბებით — 139,3 პროცენტით არის შესრულებული. ნაცვლად 191.606 ჰექტარისა გათიბულია 266.858 ჰექტარი. ამ სამუშაოებში დაწინაურდნენ ყვარლის, თელავის, სიღნაღის, გარდაბნის, საჩხერის და სხვა საწარმოო სამმართველოთა მთიბავები.

შევქმნათ საკვების ორი წლის მარაგი

ჩვენი მიმოხილვა

მართალია, ბევრმა საწარმოო სამმართველომ ბალახის თიბვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა, მაგრამ დაზვინვაში ჩამორჩებიან. ბოლნისის საწარმოო სამმართველომ თიბვის ფლიური გეგმა 120 პროცენტით შეასრულა. გათიბულია 30.009 ჰექტარი ბალახი. დაზვინულია 29.729 ტონა თივა. დაზვინვის გეგმა შესრულებულია 78 პროცენტით. აქედან ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: გათიბულ ბალახს დროულად არ ზვინავენ, რაც ამ ყუათიან საკვებს ხარისხს უფუჭებს. მსგავსი მდგომარეობაა ახალციხის საწარმოო სამმართველოში. აქ ბალახის თიბვის ფლიური გეგმა შესრულებულია 113, 3 პროცენტით, ხოლო დაზვინვისა — 63,4 პროცენტით.

ბუნებრივი და ნათესი ბალახების თიბვისა და დაზვინვის საქმეში შეუწყნარებლად ჩამორჩებიან ახალქალაქის, ზესტაფონის, მაიაკოვსკის, სამტრედიის, ლანჩხუთის, მახარაძის, გეგეჭკორის და ზუგდიდის საწარმოო სამმართველოები.

კარგა ხანია ზოგიერთმა საწარმოო სამმართველომ დაამთავრა თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება, ბევრგან კი სულ მალე დაამთავრებენ. ეს ურიგო როდია. მაგრამ ცუდი ის არის, რომ ზოგან ნამჯას — ამ ძვირფას უხეშ საკვებს არ ზვინავენ. ხაშურის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებმა წელს კარგი მოსავალი მიიღეს. პუერეულის დამზადების წლიური გეგმაც შესრულეს, მაგრამ ნამჯას რატომღაც არ ზვინავენ. 1 სექტემბრისათვის თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავალი აღებული იყო 11.406 ჰექტარზე, გეგმა შესრულებულია 89,5 პროცენტით, ხოლო ნამჯის დაზვინვისა — 32,9 პროცენტით. ნაცვლად 39.478 ტონისა დაზვინულია 2.836 ტონა ნამჯა. მსგავსი მდგომარეობაა დუშეთის, ბოლნისის და სხვა საწარმოო სამმართველოებში.

კიდევ უარესი მდგომარეობაა სილოსის დამზადების საქმეში. რესპუბლიკაში 1 სექტემბრისათვის ნაცვლად 1.307.330 ტონისა დამზადებულია 134.887 ტონა სილოსი. შარშან კი ამავე დროისათვის დამზადებული იყო 356.436 ტონა, თითქმის ორჯერ მეტი, ვიდრე ახლა.

სილოსის დამზადების საქმეში ჩამორჩენენ დუშეთის, ხაშურის, მაიაკოვსკის, ლანჩხუთის, მახარაძის და სხვა საწარმოო სამმართველოები. ახლა სიმინდის, მწვანე მასის აღება გაჩაღდა. ეს სამუშაო შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ უნდა შესრულდეს.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი იუწყება, რომ 1963 წლის 7 სექტემბერს მოწვეულია თბილისის მშრომელთა დეპუტატების მე-9 მოწვევის საქალაქო საბჭოს მესამე სესია. სესია გაიხსნება დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი № 8).

დეპუტატების რეგისტრაცია იწარმოებს იქვე, დილის 9 საათიდან.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

ნ. ს. ხრუშჩოვი მოსკოვს დაბრუნდა

3 სექტემბერს იუგოსლავიიდან მოსკოვს დაბრუნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ნ. ს. ხრუშჩოვი** მეუღლითურთ.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მოძმე ქვეყანაში დასასვენებლად დაჰყო ორი კვირა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის გენერალური მდივნის, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის იოსიპ ბროზ ტიტოს მიწვევით.

მოსკოვს დაბრუნდნენ აგრეთვე ნ. ს. ხრუშჩოვის თანმხლები პირნი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ი. ვ. ანდროპოვი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ნ. გ. ეგორიჩევი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ ლენინგრადის სამრეწველო საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. ს. ტოლსტიკოვი.**

ვნუკოვოს აეროდრომზე ნ. ს. ხრუშჩოვს შეხვდნენ ამხანაგები **ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ნ. კოსიგინი, ო. ვ. კუუსინენი, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, პ. ნ. დემიჩევი, ვ. ი. პოლიაკოვი, ვ. ნ. ტიტოვი,** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **დ. თ. უსტინოვი,** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები **პ. ფ. ლომაკო** და **კ. ნ. რუდნევი,** სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი **ა. ა. გრომიკო,** სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი **რ. ი. მალინოვსკი,** სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ზ. ტ. სერდიუკი,** სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი **ნ. ა. კუზნეცოვი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები.

შემხვედრთა შორის იყვნენ იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში **ფ. გორსკი** და იუგოსლავიის საელჩოს დიპლომატიური თანამშრომლები.

მეგობრულ ვითარებაში

ი. ბროზ ტიტომ სადილი გამართა ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად

ბელგრადი, 3 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტები დ. ბოჩაროვი და ი. ტიტოვი იუწყებიან:

გუშინ საღამოს იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის გენერალურმა მდივანმა, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ი. ბროზ ტიტომ და მისმა მეუღლემ სადილი გამართეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვისა და მისი მეუღლის პატივსაცემად.

სადილზე იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ვ. ანდროპოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. გ. ეგორიჩევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ ლენინგრადის სამრეწველო საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ს. ტოლსტიკოვი, სსრ კავშირის ელჩი იუგოსლავიაში ა. მ. პუზანოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს მეხუთე ევროპული განყოფილების გამგე ს. ტ. ასტაჯანი, საელჩოს პასუხისმგებელი მუშაკები.

იუგოსლავიის მხრივ სადილზე იყვნენ იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, იუგოსლავიის საკავშირო სკუპშჩინის თავმჯდომარე ე. კარდელი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტი ა. რანკოვიჩი, საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარე პ. სტამბოლიჩი, იუგოსლავიის მშრომელი ხალხის სოციალისტური კავშირის საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარე ლ. კოლიშევსკი, იუგოსლავიის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ს. ვუკმანოვიჩი, სერბიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ვესელინოვი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის აღმასკომის წევრი, სახალხო თავდაცვის საქმეთა სახელმწიფო მდივანი არმიის გენერალი ი. გოშნიაკი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის აღმასკომის წევრი ვ. ვლახოვიჩი, აგრეთვე იუგოსლავიის მშრომელი ხალხის სოციალისტური კავშირის საკავშირო კომიტეტის საერთაშორისო ურთიერთობის კომისიის თავმჯდომარე დ. ვიდიჩი, იუგოსლავიის ელჩი საბჭოთა კავშირში ც. მიიატოვიჩი და სხვა ოფიციალური პირები.

სადილზე, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, იოსიპ ბროზ ტიტომ და ნ. ს. ხრუშჩოვმა სადღეგრძელოები წარმოთქვეს.

გაზეთ „ბორგას“ რედაქციას, გაზეთ „პოლიტიკას“ რედაქციას

იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში ყოფნის დროს ჩემს სახელზე მიღებულია ბევრი დეპეშა და წერილი იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის სხვადასხვა ორგანიზაციისა და მოქალაქეებისაგან, რომლებშიც მიწვევენ იუგოსლავიის ცალკეულ რაიონებში, ქალაქებსა და სოფლებში.

დიდად დასანანია, რომ დრო შესაძლებლობას არ გვაძლევს მივიღოთ ყველა ეს მიწვევა და ვთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა უძღვნათ იუგოსლავიის ყველა ორგანიზაციასა და მოქალაქეს თავაზიანი მიწვევისათვის.

1963 წლის 2 სექტემბერი. **ნ. ხრუშჩოვი.**

ბრძანება სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა

1963 წლის 3 სექტემბერი № 203 ქ. მოსკოვი

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებიდან იმ სამხედრო მოსამსახურეთა დათხოვნის შესახებ, რომლებმაც მოიხადეს სამსახურის დაწესებული ვადები, და სავალდებულო სამხედრო სამსახურში მორიგი გაწვევის შესახებ

საყოველთაო სამხედრო ვალდებულების კანონის შესაბამისად ვბრძანებ:

1. დათხოვნილ იქნენ საბჭოთა არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის, სასაზღვრო და შინაგანი ჯარების რიგებიდან თადარიგში ჯარისკაცები, მატროსები, სერჟანტები და ზემდეგები, რომლებმაც მოიხადეს კანონით დაწესებული სავალდებულო სამხედრო სამსახური ვადები.

2. ამ ბრძანების 1 პუნქტში აღნიშნულ სამხედრო მოსამსახურეთა დათხოვნასთან დაკავშირებით, გაწვეულ იქნენ საბჭოთა არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის, სასაზღვრო და შინაგანი ჯარების რიგებში სავალდებულო სამხედრო სამსახურისათვის 1944 წელს დაბადებული მოქალაქენი, რომლებსაც არა აქვთ გაწვევის შეღავათისა და გადავადების უფლება, აგრეთვე გასაწვევი ასაკის მოქალაქენი, რომლებსაც გაუვადათ გაწვევის გადავადება და რომელთა ტოლები სავალდებულო სამხედრო სამსახურში არიან.

3. ბრძანება გამოცხადდეს ყველა ასეულში, ბატარეაში, ესკადრილიაში და ხომალდზე.

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი
რ. მალინოვსკი.

141 დღე-ღამე ოკეანის წყლებში

„შოთა რუსთაველი“—სამშობლოში

ბათუმი, 3 სექტემბერი. („კომუნისტის“ სპეც. კორ.). თეთრმა თოლიებმა მოიტანეს შორეული ზღვების სუნთქვა ბათუმის ნავსადგურში....

მერე პირველი ქართული საოკეანო თევზსაჭერი ტრაულერი „შოთა რუსთაველის“ სირენებმა აახმიანეს მახინჯაური, მწვანე კონცი, მთა ციხკარი. ბათუმის ნავსადგურში ნელა შემოდის თეთრი ხომალდი „შოთა რუსთაველი“. ბათუმის საზღვაო ვაგზლის ფასადს შვენის ტრანსპარანტი — „დიდება „შოთა რუსთაველის“ მამაც მეზღვაურებს!“.

საოკეანო ხომალდის წინ, ლენინის პორტრეტის ქვეშ, ქართული წარწერაა — „გამარჯობა, სამშობლოვ!“ ამ მხედრული ასოების ამოტვიფრა ქართველმა მეზღვაურებმა თურქეთის ნაპირებთან დაიწყეს და საბჭოთა კავშირის საზღვართან დაამთავრეს.

ტრაულერს ამშვენებს შოთას პორტრეტი, რომელიც შექმნილია გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. „შოთა რუსთაველის“ ქიმზე სხვა წარწერაც არის: „სამშობლოს დავალება შესრულებულია 134,5 პროცენტით!“ ქართველი მეზღვაურები უპატიკებენ სამშობლოს ამ დიდ შრომითს გამარჯვებას.

უკან დარჩა შრომითი რომანტიკით აღსავსე 141 ძნელი დღე-ღამე. მხოფლიო ოკეანის წყლებში გავლილია — კალინინგრადიდან აფრიკის შემოვლით ბათუმამდე — 32 ათასი კილომეტრი, 14 აპრილიდან დღემდე ტრაულერმა „შოთა რუსთაველმა“ სამშობლოს მისცა 1,900 ტონა თევზის პროდუქცია.

გაზეთ „კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტები ესაუბრნენ ტრაულერ „შოთა რუსთაველის“ კაპიტან-დირექტორს ამხანაგ **აბესალომ ზენაიშვილს.**

მან განაცხადა:

— ტრაულერ „შოთა რუსთაველის“ პირველი რეისი სამხრეთ ატლანტიკაში შესანიშნავია არა მარტო იმით, რომ პირნათლად შევასრულეთ სამშობლოს დავალება, არამედ იმითაც, რომ ქართველმა საბჭოთა მეზღვაურებმა თევზმჭერმა კოლექტივმა აითვისა თევზის რეწვის ახალი რაიონები სამხრეთ ატლანტიკაში. ამასთანავე გამოიყენა მსოფლიო ოკეანეში თევზის რეწვის ახალი მეთოდები.

ჩვენ მადლობას ვუცხადებთ, თქვა ამხანაგმა ა. ზენაიშვილმა, კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას მზრუნველობისათვის, აგრეთვე საბჭოთა პრესას „შოთა რუსთაველის“ პირველი რეისის ფართოდ გაშუქებისათვის. ჩვენ მადლობელი ვართ სეკასტოპოლის ხომალდთა ჯგუფისა, რომელიც მეგობრულად გვეხმარებოდა შორეულ ზღვებსა და ოკეანეში ამ ძნელი რეისის დროს.

„საქთევზტრესტის“ მმართველმა ამხანაგმა პ. საპანაძემ განაცხადა:

— „შოთა რუსთაველის“ სახელოვანმა კოლექტივმა ძნელი ამოცანა კარგად გადაჭრა. ჩვენს რესპუბლიკას უკვე ჰყავს საზღვაო თევზჭერის ისეთი კადრები, რომლებიც არამარტო ერთ ხომალდს, არამედ მთელ ფლოტილიასაც უხელმძღვანელებენ.

სასიხარულოა, რომ „შოთა რუსთაველის“ ეკიპაჟი იბრძვის კომუნისტური შრომის კოლექტივის სახელისათვის.

გემბანიდან ტრაპით მშობლიურ მიწაზე ეშვებიან აფრიკის მზით გარუჯული ქართველი მეზღვაურები.

საქართველოს საზღვაო ჰიშკრის — ბათუმის მშრომელების პარტიული და საბჭოთა ორგანოების წარმომადგენლები მხურვალედ მიესალმებიან ტრაულერ „შოთა რუსთაველის“ ეკიპაჟს. ნავსადგური ყვავილების ზღვაში იძირება. მიკროფონთან ერთმანეთს ცვლიან პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. კ

პარტიული ცხოვრება

ინსტრუქტორის ახალი ჰორიზონტი

არცთუ ისე ადვილია წლის ამ მეტად ცხარე დღეებში რომანოზ სანიკიძის ნახვა. ადრე დილიდან გვიან საღამომდე ან სამშენებლო მოედნებზეა ან მდინარის პირას მივარდნილ კარიერებზე. ბევრი საქმე აქვს გამოცდილ ინჟინერს, ამჟამად კი პარტიული კომიტეტის ინსტრუქტორს. დიდი სამოქმედო უბანი ანბარია. რ. სანიკიძის მომსახურების ზონაში შედის 25 სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაცია. ყველა წამყვან უბანზე კომუნისტები მუშაობენ, და აბა როგორ იქნება, რომ მათ ინსტრუქტორი ყოველდღიურად თუ არა, დღეგამოშვებით მაინც არ გამოხმაურეს, არ გამოჰკითხოს, რა უშლით ხელს მუშაობაში. რ. სანიკიძესთან ხშირად ნახავთ მუშებსა და წარმოების მეთაურებს. აქ წყვეტენ ისინი წარმოების ყველაზე აქტუალურ, მომწიფებულ საკითხებს.

იმ დღესაც რ. სანიკიძე ბიჭვინთის საახალო კურორტის მშენებლობის ერთერთ ობიექტზე ვნახეთ. სამუშაოთა მწარმოებლებთან ერთად მშენებლობის ახალ შედგენილ გრაფიკს ეცნობოდა. იქვე ისაუბოდა სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა და მისი დაუყოვნებლივ შესრულების საკითხი.

— მე მგონია, მეგობრებო, — ამბობდა ინსტრუქტორი, — კარგი იქნება, თუ ლუგანსკელი მაღაროელების ინიციატივას მივბაძავთ, მათი მაგალითისამებრ ვიბრძოლებთ დღიური ნორმების ექვს სამუშაო საათში შესრულებისათვის. დარჩენილ ერთ საათში კი შეჯიბრების ყოველი მონაწილე ზეგეგმითს პროდუქციას გამოუშვებს. თქვენს თაოსნობას ჩვენ „ბიჭვინთის საათს“ დავარქმევთ. რ. სანიკიძემ დაწვრილებით განუმარტა მუშებს, თუ როგორ გაუმჯობესონ შრომის ორგანიზაცია. ინსტრუქტორის რჩევით პარტიულმა ორგანიზაციამ გამოჰყო აგიტატორები, რომლებსაც დაეკისრათ ყოველდღიურად შეეჯამებინათ სოციალისტური შეჯიბრების შედეგები.

ორიოდე დღის შემდეგ მშენებლები „ბიჭვინთის საათისათვის“ იბრძოდნენ დიადი მშენებლობის ყოველ უბანზე.

ბიჭვინთელი მშენებლები კომიტეტის ინსტრუქტორს კარგა ხანია თავის მახლობელ ადამიანად თვლიან. თითქმის ორი წელიწადი იმუშავა სანიკიძემ „ბიჭვინთმშენში“. მისი ხელმძღვანელობით აშენდა აქ ზღვის სანაპირო ჯებირები, მომზადდა ნიადაგი მომავალი სახალხო კურორტის პირველი 14-სართულიანი შენობის საძირკვლის ჩასაყრელად. პარტიული კომიტეტის ინსტრუქტორის ახალმა სამუშაომ ის უფრო მჭიდროდ დაუახლოვა ადამიანებს.

ცხოვრების სკოლა და ცოდნა ხელს უწყობს ახალგაზრდა პარტიულ მუშაკს ჩასწვდეს წარმოების ეკონომიკას, ჩაიხედოს ადამიანთა გულის სიღრმეში. თბილისის ყოფილი რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის აღზრდილი ინჟინერი აშენებდა საცხოვრებელ სახლებს დონბასელი მეშახტეებისათვის, პარტიის მოწოდებით მონაწილეობას იღებდა ყაზახეთის ყამირი მიწების ათვისებაში. სწორედ აქ დაიმსახურა ხალხის ნდობა, და ყამირელმა კომუნისტებმა პარტიის რიგებში მიიღეს.

არცთუ ისე ბევრმა დრომ განვლო მას შემდეგ, რაც რ. სანიკიძე გაგრის სამრეწველო-საწარმოო პარტიული კომიტეტის ინსტრუქტორია, მაგრამ უკვე შეიძინა ერთგვარი გამოცდილება. მან სწორად გაიგო, რომ ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობა წარმატებათა საფუძველია. ამიტომ იგი ცდილობს წარმოების საჭირბოროტო საკითხები აღგილზევე ოპერატიულად გადაწყვიტოს.

შემკვეთები თავის დროზე ვერ აწვდიდნენ ბიჭვინთელ მშენებლებს სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას. ინსტრუქტორმა კომუნისტებთან ერთად აგგილზე შეისწავლა საქმის ვითარება. დაისახა კონკრეტული ღონისძიებანი. მშენებელთა პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირის შემდეგ, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ბანკის წარმომადგენლები, შემკვეთები და სამუშაოთა შემსრულებლები, სურათი მკვეთრად შეიცვალა.

მშენებლობებზე შედგა ახალი სატრულო სიები, რომლებიც ამჟამად მთლიანად უზრუნველყოფილია პროექტებითა და სხვა საჭიროო დოკუმენტებით.

რ. სანიკიძეს ყურადღებიდან არ გამორჩენია ის უწესრიგობა, რაც აქ სამშენებლო მოედნებზე შრომის ორგანიზაციაში იყო. მან კომუნისტებთან ერთად გაარკვია, თუ საიდან წარმოდგება რკინიგზაზე ვაგონების ნორმით გაუთვალისწინებელი მოცდენა. ამ მიზეზების გამო მარტო შარშან ბიჭვინთმშენმა 8.500 მანეთი გადაიხადა ჯარიმის სახით. ეს საკითხი ინსტრუქტორმა პარტიულ კომიტეტში დააყენა და ბიუროს მსჯელობის საგანი გახდა. შემდეგ კი უშუალოდ ობიექტებზე — სამშენებლო მოედნებზე, ავტოსატრანსპორტო კანტორებში პირველადმა პარტორგანიზაციებმა დარაზმეს კომუნისტები ტვირთების შეუფერხებელი გადატანისათვის საბრძოლველად.

ინსტრუქტორის ზონაში შემავალი სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციები უხვად არიან აღჭურვილნი თანამედროვე ტექნიკით, მაგრამ მანქანები ყველგან ერთნაირად როდია დატვირთული. ერთ ადგილზე მათი სიჭარბე იგრძნობა, მეორეზე კი ნაკლებობა. ამ საკითხზე კომუნისტები რ. სანიკიძეს მოეთათბირნენ. მან შეისწავლა და პარტიული კომიტეტის ბიუროზე განსახილველად შეიტანა ის საკითხი, თუ როგორ უნდა უზრუნველყოს მშენებლებმა ტექნიკის შეუფერხებელი მუშაობა.

ბიჭვინთმშენის რკინაბეტონის ნაწარმის ქარხანა ერთ-ერთი მსხვილი საწარმოა აფხაზეთში. ქარხნის წამყვან უბნებზე 38 კომუნისტი შრომობს. მაგრამ ისინი თავიანთ მტკივნეულ საკითხებს აგგილზე ოპერატიულად ვერ წყვეტდნენ. მშენებელთა გაერთიანებული პარტიული ორგანიზაცია ნაკლებად იყო დაინტერესებული ქარხნის მუშაობით.

რატომ არ უნდა არსებობდეს ასეთი მსხვილ საწარმოში დამოუკიდებელი პარტიული ორგანიზაცია? მან საკითხმა დაიფიქრა პარტიული კომიტეტის ინსტრუქტორი, და ეს აზრი ქარხნის კომუნისტებს, ხელმძღვანელ ამხანაგებს გაანდო. მალე ქარხანაში პარტიული ორგანიზაცია შეიქმნა.

დღედაღამ მასებთან, ცხოვრების შუაგულში ტრიალებს პარტიული მუშაკი რომანოზ სანიკიძე. და ამ ვეებერთელა მშენებლობის ყოველი კუთხიდან მართლაც რომ სასახარულო ცნობები მოდის პარტიულ კომიტეტში. მშენებელი კოცენა. ისინი კეთილსინდისიერად ასრულებენ ვალდებულებას, რომლებიც აკეთებენ ტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მუშაობის დღეებში ჰქონდათ ნაკისრი. ამასწინათ მშენებლებმა ახალი ვალდებულებები იკისრეს, კომუნისტები სათავეში ჩაუდგნენ სოციალისტურ შეჯიბრებას, რომელიც გაშლილია საქართველოს კპ XXII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის.

სახალხო კურორტის სამშენებლო მოედნებზე ახლა დიდი საწარმოო და პოლიტიკური აღმავლობაა. გენერალური შტაბი დაიწყო. უკვე ჩაეყარა საძირკველი ოთთხმეტსართულიანი სასტუმროპანსიონატების მერვე შენობას.

მუშათა ახალ დაბაში, იმათთვის, ვინც სახალხო კურორტის მომავალ დამსვენებლებს მოემსახურება, აშენდა ცხრა სახლი თვითეული ორმოცდაათობი კომფორტაბელური ბინით.

მშენებლებთან ერთად სიხარულით ევსება გული რომანოზ სანიკიძეს.

პარტიული კომიტეტის ინსტრუქტორის უშუალო მონაწილეობით გადახალისდა და გაფართოვდა სამშენებლო ობიექტზე აგიტატორთა ქსელი. ამ საქმეში ჩაბმულ იქნენ უნარიანი, მომზადებული ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, რომლებმაც ამოცანად დაისახეს ყოველი მოწინავე მშენებლის გამოცდილება დაუყოვნებლივ ყველას კუთვნილებად გადაქცევინონ.

— ამ საქმეში, — ამბობს თვითონ რ. სანიკიძე, — ყველაფერი რიგზე როდი გვაქვს. — გამოცდილების გავრცელებასაცია ჯერჯერობით ადამიანებს არ უთმობს. ჩვენც ხშირად ხელაღებით გვსურს ხელმე დავნერგოთ ესა თუ ის გამოცდილება, რაც, საბოლოო ანგარიშში, ფორმალურ ხასიათს ატარებს...

ყოველი პარტიული მუშაკი იზრდება ადამიანებთან ურთიერთობაში. ამავე დროს მას საქმის გაძღოლას ასწავლიან გამოცდილი ამხანაგები. რ. სანიკიძისათვისაც ადამიანებთან ურთიერთობა მთელი სკოლაა, ხოლო პარტიული კომიტეტის ხელმძღვანელი, უფრო გამოცდილი მუშაკები — პედაგოგები. სიძნელეები თან სდევს პარტკომის ინსტრუქტორის მოღვაწეობას. მართლაც ძნელია ყველაფერი შეუცდომლად გააკეთო. ამიტომ რ. სანიკიძეც სწავლობს ადამიანებთან მუშაობის თეორიასა და პრაქტიკას, ამხანაგებთან ერთად ეძებს პარტიული მუშაობის ახალ-ახალ ფორმებსა და მეთოდებს.

ახალი ჰორიზონტები ისახება შვიდწლედის ყოველ დღეს ინსტრუქტორ რომანოზ სანიკიძისა და მისი მეგობრების წინაშე.

ი. გოგეჩია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

კითხვა-პასუხის დიდი საღამო

ჭუთაისი. (საკ. კორ.). აბრეშუმის კომბინატის მუშათა კლუბის ვრცელ ოთახში, ნაცვლად დარბაზისა, ინჟინერ-ტექნიკოსები და მოსამსახურეები შეიკრიბნენ. ისინი იქ მოვიდნენ კითხვა-პასუხის საღამოზე, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებსა და მასალებს მიეძღვნა.

საღამოზე 200-მდე შეკითხვა შემოვიდა. ისინი შეეხებოდა ახალი ადამიანის აღზრდის, იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერების ამოცანებს, აგრეთვე ქალაქ ქუთაისის ზრდა-განვითარების, მისი კეთილმოწყობის, მშრომელთა საყოფაცხოვრებო, სამედიცინო და სავაჭრო მომსახურების საკითხებს და სხვ.

შემოსულ კითხვებზე ზუსტი და ამომწურავი პასუხი გასცეს საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგემ ვ. პაჭკორიამ, პოლიტიკური განათლების კაბინეტის შტატგარეშე კონსულტანტმა შ. ჭილაძემ, პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორმა თ. ეფრემიძემ, აბრეშუმის კომბინატის დირექტორმა ა. დადუნაშვილმა, ქალაქის მთავარმა ინჟინერმა ს. შარვაშიძემ და სხვებმა.

საღამომ ცხოველი ინტერესი გამოიწვია.

ამიერკავკასიის ხალხების ძმური მეგობრობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა მიზნად ისახავს განვამტკიცოთ რესპუბლიკათა ეკონომიური კავშირი, გავაერთიანოთ და შეთანხმებული გავხადოთ მათი შრომითი მეცადინეობა, სწორად შევუხამოთ მთელი სახელმწიფოს ინტერესები თითოეული რესპუბლიკის ინტერესებს.

სკკპ XXII ყრილობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლამ ახალი, კიდევ უფრო შესანიშნავი პერსპექტივები დასახა მოკავშირე რესპუბლიკათა რესურსების აქტიურად ჩაბმისათვის კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის საერთო საქმეში. ამასთან იგი კიდევ უფრო აახლოებს ხალხებს და განამტკიცებს მათ მეგობრობას.

რესპუბლიკათა მსგავსი ბუნებრივი პირობების, სამეურნეო პროფილისა და ადამიანთა შრომითი ჩვევების საფუძველზე ეკონომიური კომპლექსების შექმნა, მსხვილი ეკონომიური რაიონების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოთა სამმართველოების შექმნა, აგრეთვე სხვა ღონისძიებანი, რომლებიც პარტიამ განაზორციელა უკანასკნელ დროს, ნაკარნახევია სახალხო მეურნეობის საარსებო ინტერესებით და ხელს უწყობს რესპუბლიკებს შორის გამოცდილების გაზიარებას, წარმოების უკეთ მოწყობასა და დაგეგმვას.

ავითარებენ რა თანამშრომლობის სახელოვან ტრადიციებს, რაც ჯერ კიდევ ამიერკავკასიის ფედერაციის წლებში შეიქმნა, ამიერკავკასიის რესპუბლიკები თავიანთ მეცადინეობას აერთიანებენ მსხვილი სახალხო-სამეურნეო ამოცანების ერთობლივი გადაჭრისათვის.

მაგალითად, იმის შედეგად, რომ შეიქმნა ამიერკავკასიის ერთიანი ენერგეტიკული სისტემა, შესაძლებელი გახდა გაგვედიდებინა ელექტროსადგურების სიმძლავრეთა გამოყენების კოეფიციენტი, ხელახლა გაგვენაწილებინა ზედმეტი ელექტროენერგია ყველა რაიონის მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილებისათვის. ყარადაღი-აქსტაფა-თბილისის გაზსადენის აგებამ აქსტაფა-ერევნის განშტოებით, შესაძლებელი გახადა იაფი ბუნებრივი გაზი მიგვეწოდებინა კიროვაბადის, მინგეჩაურის, რუსთავის, თბილისის, ერევნისა და ამიერკავკასიის სხვა სამრეწველო ცენტრების საწარმოებისა და მოსახლეობისათვის. მაგრამ ყარადაღის საბადოს არ შეუძლია დააკმაყოფილოს ბუნებრივი გაზის მოლიანი მოთხოვნილება. უახლოეს ხანში დამთავრდება უნიკალური გაზსადენის — ორჯონიკიძე-თბილისის მშენებლობა, რომლის სიგრძე 215 კილომეტრია. ამ გაზსადენით, რომელიც კავკასიონის მთავარ ქედზე გადის, საქართველო მიიღებს სტავროპოლის გაზს. ამიერკავკასიისა და აზერბაიჯანის რკინიგზების გაერთიანების შედეგად გაუმჯობესდა მათი მუშაობა. შემთხვევთი როდია, რომ ამიერკავკასიის მაგისტრალის რკინიგზელებს მეორე კვარტალში მოპოვებული წარმატებისათვის გადაეცათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წოლელი დროშა.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო ის, რომ შეიქმნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის ბიუროო. ბიუროო აერთიანებს რესპუბლიკათა მეცადინეობას სახალხო მეურნეობის განვითარებაში, ხელს უწყობს მათი საწარმოო ძალების შემდგომ ზრდას, კიდევ უფრო განამტკიცებს ხალხთა ძმურ მეგობრობას.

რესპუბლიკათა ძალების შემდგომი კონსოლიდაციის ინტერესებს ემსახურება აგრეთვე ამიერკავკასიის ეკონომიური რაიონის საგეგმო კომისიის საქმიანობა. იგი მოიცავს ისტორიულად ჩამოყალიბებულ ეკონომიურ რაიონს. ამ რაიონში შედის აზერბაიჯანი, საქართველო და სომხეთი, რომლებსაც აქვთ ნედლეულის საერთო რესურსები და მონათესავე ეკონომიკა. ეს კომისია უშუალოდ ემორჩილება სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს. იგი მოწოდებულია გამოავლინოს დამატებითი რესურსები და შესაძლებლობები სამრეწველო და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის, შეიმუშაოს რეკომენდაციები და წინადადებანი კაპიტალურ დაბანდებათა უფრო ეფექტიანი რეალიზაციისათვის, ეკონომიური რაიონის ბუნებრივი პირობების, საწარმოო ფონდებისა და შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის. კომისიის დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა გააუმჯობესოს საწარმოო ძალების განლაგება, გააღრმავოს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაცია, გააფართოოს სარაიონთაშორისო საწარმოო და სატრანსპორტო ურთიერთობა. მას ევალება შეიმუშაოს ეკონომიური რაიონის მთლიანი გეგმა სახალხო მეურნეობის განვითარებაში საჭირო პროპორციების დაცვით, აგრეთვე წარმოებისა და კაპიტალური მშენებლობის გეგმების შედგენის დროს გათვალისწინებული ღონისძიებანი გი წინადადებანი.

საგეგმო კომისიის წინამორბედმა — ამიერკავკასიის მსხვილი ეკონომიური რაიონის სახალხო მეურნეობის საბჭოების მუშაობის კოორდინაციისა და დაგეგმვის საბჭომ მაღალ დონეზე, ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ცენტრალური კომიტეტების პირველი მდივნებისა და მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეების მონაწილეობით განხილია ისეთი დიდმნიშვნელოვანი პრობლემები, როგორიცაა ამიერკავკასიის სათბობ-ენერგეტიკული ბალანსი და სათბობ-ენერგეტიკული ბაზის შემდგომი განვითარების ძირითადი მიმართულებანი 1962-1965 წლებისათვის, სამზად საწარმოთა სპეციალიზაცია მანქანათმშენებლობაში, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის განვითარება და სხვ.

ამას წინათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის ბიუროს მიერ ბაქოში მოწყობილი აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის ქიმიური მრეწველობის მუშაკთა და ქიმიკოს მეცნიერთა თათბირი სპეციალურად მიეძღვნა დიდი ქიმიის განვითარებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის ბიუროს გადაწყვეტილებით ოქტომბერში ერევანში მოწვეულია აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის მშენებელთა თათბირი. თათბირს დიდი მნიშვნელობა ექნება.

კომისიის სამუშაო გეგმაში შეტანილია აგრეთვე ისეთი დიდმნიშვნელოვანი პრობლემები, როგორიც არის კოლხეთის ტროტექნიკური, საფეიქრო, სამკერვალო, ტყავფეხსაცმლის, საავეჯო მრეწველობის სპეციალიზაციისა და კოოპერირების განვითარება, მოწყობილობის წარმოება კვების მრეწველობისათვის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო საჭიროების საქონლის, ტარასაფუთავი მასალების წარმოება.

მთელ ჩვენს მუშაობაში დიდმნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს 1964-1965 წლების სახალხო-სამეურნეო გეგმის, აგრეთვე 1966-1970 წლების გეგმის ორგანიზაცია და შედგენა, რაშიც ჩაბმულ იქნება ყველა რესპუბლიკური ორგანიზაცია, წამყვანი სპეციალისტები, საწარმოთა კოლექტივები.

ახლა, როცა მეცნიერება სულ უფრო უშუალო საწარმოო ძალა ხდება, მეტი მნიშვნელობა ენიჭება სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა და უმაღლეს სასწავლებელთა საქმიანობის კოორდინაციასა და დაგეგმვას ამიერკავკასიის ეკონომიური რაიონის სახალხო მეურნეობის განვითარების უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო-ტექნიკური და ეკონომიური პრობლემების შესწავლის დარგში.

პირველ რიგში მეცნიერებმა უნდა გაერთიანნონ თავიანთი მეცადინეობა ისეთ დარგებში, როგორიცაა ენერგეტიკა და ელექტრიფიკაცია, გამოთვლითი ტექნიკა და კერძოდ, მათემატიკური მეთოდების გამოყენება სახალხო მეურნეობის აღრიცხვაში, დაგეგმვასა და მართვაში, საჭიროა კოორდინირებულ იქნეს მუშაობა სასარგებლო წიაღისეულის ახალი საბადოების გამოვლენების. ამიერკავკასიის წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენების, სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის დარგში. ამ საკითხების დამუშავებისას ჩვენ დაველოდნენთ მეცნიერებთა ეროვნული აკადემიებისა და ამიერკავკასიის სამი მოძმე რესპუბლიკის მეცნიერთა სულ უფრო მზარდ შემოქმედებით თანამეგობრობას.

ყოველ დღეს სულ ახალი ამბები მოაქვს, რომლებიც მოწმობენ, რომ უფრო ფართოვდება საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა. საქართველოს მეცნიერებებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი ვ. პ. მეგავნაძის წინადადებას, რომელიც მან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე წამოაყენა. ეს წინადადება მიზნად ისახავს გაერთიანდეს საქართველოსა და აზერბაიჯანის მეცნიერებათა მეცადინეობა იმისათვის, რომ საქართველოში სწრაფად გამოვლინდეს დიდი ნავთობი. ამიერკავკასიის პოლიტექნიკური ინსტიტუტების კოლექტივებმა წინადადება წამოაყენეს გაერთიანონ და თავი მოუყარონ ერთი პროფილის, მაგალითად, მბურღავი ინჟინერების მომზადებას აზერბაიჯანში, ჩაის მრეწველობის სპეციალისტებისას — საქართველოში. მეცნიერი-ენერგეტიკოსები ერთობლივად ამუშავებენ მომავალი ენგურის ჰიდროელექტროსადგურიდან 500-კილოვატიანი ელექტროგადამცემი ხაზის პარამეტრებს, რომელიც ბევრად გაზრდის ამიერკავკასიის ენერგოსისტემის სიმძლავრეს. პრაქტიკულად დაისვა საკითხი იმის შესახებ, რომ ამიერკავკასიაში შეიქმნეს ხსნადობის მატყლის სარეცხი საწარმოები, რომლებიც დაკმაყოფილებენ სამივე რესპუბლიკის მოთხოვნას გარეცხილ მატყლზე.

ყოველივე ეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ბრძნული სიტყვების დადასტურებაა: „კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობა იწვევს საბჭოთა ხალხების კიდევ უფრო მჭიდრო გაერთიანებას. სულ უფრო ინტენსიური ხდება ერებს შორის მატერიალური და სულიერი სიმდიდრის გაცვლა, იზრდება თითოეული რესპუბლიკის წვლილი კომუნისტური მშენებლობის საერთო საქმეში“.

(საქდესი).

ფოტოინფორმაცია

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ

ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲕᲧᲐᲕᲓᲔᲡ ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ

ᲑᲣᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ მიწა, საამოდ ქრის ნიავი, ჩხრიალებს ღელე... მზით გარეულული ადამიანი მიწას აბრუნებს, თესავს, მკის... სიხარული ეუფლება ოჯახს, სოფელს.

სასარული ეუფლებათ ზუგდიდის რაიონის სოფელ კოკის ახალგაზრდებს. მათ სოფელი კარგი აქვთ. არც სათესი ფართობი აქვთ ცუდი, ეხეურის შლამად ნაპირებზე რომ გადმოლილა, და არც საძოვრები.

წინათ, წლების განმავლობაში, რატომღაც კარგს ვერაფერს გაიგონებდით სოფელ კოკეზე. მუდამ ჩამორჩენილი იყო. არ სრულდებოდა სიმინდის, ჩაის, ხორცის, რძის წარმოებისა და დამზადების გეგმები. რაში იყო საქმე?

ბევრი გაურბოდა საკოლმეურნეო შრომას. თავს ევლებოდნენ საკარმიდამო ნაკვეთებს, ცუდი იყო შრომის ორგანიზაცია, კოლმეურნეობის ხელმძღვანელებად წლების განმავლობაში უუნაროებს ირჩევდნენ. მაგრამ კოლმეურნეობაში იყვნენ საზოგადოებრივი საქმის გულშემატკივრები, რომლებიც ხედავდნენ მომავალს, ფარ-ხმალს არ ყრიდნენ და გული შეტკიოდათ თავიანთი სოფლისათვის, თავიანთი ხალხისათვის. ესენი არიან 70 წლის კოლმეურნე თ. შამათავა, მ. ბუაძე, ბ. ცხაკაია და სხვები. ბოლოს და ბოლოს მათ ზუგდიდის საწარმოო სამმართველოსა და პარტიული კომიტეტის წინაშე დააყენეს საკითხი, რომ კოლმეურნეებს ხელმძღვანელის არჩევაში დახმარებოდნენ.

... და აი გამოჩნდა ხელმძღვანელიც. მართალია, წლები არ გასულა, რაც კოლმეურნეობას სათავეში ჩაუდგა გამოცდილი მუშაკი აგრონომი კარლო ფაქავა, მაგრამ გარდატეხა მაინც დაიწყო. ეს იგრძნობა ყველაფერში. საკოლმეურნეო ცენტრი, რომელიც წინათ პირუტყვის სათარეშო იყო, შემოკავეს, დარგეს პალმები, წიწვიანი და ფოთლოვანი მცენარეები. გამრჯე ხელი დაეტყო საკოლმეურნეო მინდვრებსაც.

წელს სიმინდის თესვა ადრე დამთავრდა. აგროვადებში დაამუშავეს ნათესები. აბა ახლა ნახეთ სიმინდის ყანები კოკეში. რომ იტყვიან, ავ თვალს არ ენახვება. გამრჯე შრომამ თავი იჩინა ჩაის პლანტაციების დამუშავებაშიც. ადრე გაზაფხულზე სახელმწიფოს ჩაბარდა ჩაის საკოფეინე მასალა ათ ტონაზე მეტი, გეგმა კი 5 ტონის ჩაბარებას ითვალისწინებდა. ლაო ჩაის დამზადების გეგმა 230 პროცენტით შესრულდა. კოლმეურნეობამ წელს ჩაის ხარისხთანი ფოთოლი იმდენი მოკრიფა, რაც სამ წელიწადს არ მოკრეფილა. ჩაის ფოთლიანობის კანტორაში. ეს ნამდვილად გულახდილი საუბარი იყო და ამ საუბარში ჩანდა ისიც, თუ ბევრი ახალგაზრდა როგორ დაადგა სწორ გზას, ამოუდგა გვერდში კოლმეურნეობის ხელმძღვანელობას.

აი ზოგიერთი მათგანი:

გ. ნარმანია — მაღაზიის ყოფილი გამყიდველი. ახლა მესიმინდეა. წელს 1 ჰექტარი ყამირი აითვისა, კარგად დაამუშავა. ჰექტარზე 100 ცენტნერი სიმინდის მიღება ივალდებულა.

ვ. კეიდია — ტრაქტორისტი, შავგუსა ცოცხალი ბიჭი, რომელიც ყოველთვის საქმით არის გართული და ტრაქტორი საათივით აქვს აწყობილი. წელს უკვე გამოიმუშავა 150-ზე მეტი შრომადღე. ამასთან ერთად კარგი სპორტსმენია.

რ. კეიდია—წლების განმავლობაში უსაქმოდ გადიდდება, რომ შესაძლებელი იქნება თვეში სამი, სამნახევარი ხუთსართულიანი სახლის კომპლექტების გამოშვება. ამჟამად კი კასეტებში ბეტონის ხსნარის ჩასხმა ხდება ხიდურა ამწით, რომელიც ამასთან გამოყენებულია საწარმოო ციკლის დამთავრებიასა კასეტებიდან დეტალების ამოსადებად. ციკლი კი სხვადასხვა კასეტში სხვადასხვა დროს მთავრდება და ბეტონის ჩასხმისაგან ამწის გახთავისუფლება დიდად დააჩქარებს წარმოების პროცესს.

სახლსამშენებლო ქარხნის კოლექტივს კიდევ ერთი სიძნელე ეღობება. ეს არის შეფერხებები ორთქლით მომარაგებაში. 28 და 29 აგვისტოს ქარხანას ორთქლს აწოდებდნენ წყვეტილად, ხოლო რას ნიშნავს ეს რკინაბეტონის სამშენებლო დეტალების დამზადების ტექნოლოგიისათვის, ყველა ინჟინერისათვის ცნობილია. რასაკვირველია, ასეთ პირობებში მაღალხარისხოვანი სამშენებლო დეტალების გამოშვება შეფერხებული იქნება.

თავის დროზე, როცა სახლსამშენებლო ქარხანას აშენებდნენ, გადაწყვეტილ ამ უბნის საწარმოებისათვის აეშენებინათ და მოეწყოთ ცენტრალური საორთქლე მეურნეობა. ეს სავსებით მიზანშეწონილი და კანონზომიერი იყო. მართლაც მოაწყეს საორთქლე მეურნეობა, დადგეს სამი ქვაბი, მაგრამ ამ ქვაბების გამართულ მუშაობას არაფერი ეშველა. სახლმშენებლები მოითხოვენ, გამოგვიყავით სამი ქვაბიდან ერთი მაინც, მოგვანდეთ მისი მუშაობის უზრუნველყოფა და სასაყვედურო აღარაფერი გვექნებაო. ასე ამბობენ თბილისის სამშენებლო ინდუსტრიის ტრესტის მესამე საწარმოო კომბინატის დირექტორი ი. მაისურაძე, კომბინატის მთავარი ინჟინერი გ. ხარებავა და სახლსამშენებლო ქარხნის ხელმძღვანელები. ორთქლის მიწოდებაში შეფერხება საცხოვრებელი სახლების გამოშვების ხელშეშლას უდრის. განა ძნელია ამ საქმის მოწესრიგება? ან ქვაბი შევცვალოთ, თუ უვარგისია, ვარგისით, ან საქვაბე დავაკომპლექტოთ კვალიფიციური მუშაკებით, ყოველ შემთხვევაში სახლსამშენებლო ქარხანას ორთქლი უნდა ჰქონდეს ყოველთვის, წარმოებას ამით ხელი არ უნდა შეეშალოს.

არის კიდევ ერთი შეფერხება, რომელიც არა მარტო სახლსამშენებლო ქარხნის მუშაობას უშლის ხელს, არამედ სახლშენებლობის თვითღირებულების ზრდასაც იწვევს. ეს არის ინერტული საშენი მასალის (ქვიშა, ხრეში, ღორღი) მომარაგების მოუწესრიგებლობა.

თბილისის სამშენებლო ინდუსტრიის ტრესტის მარტო მესამე საწარმოო კომბინატს სახლსამშენებლო ქარხნისა და მსხვილი ბლოკების წარმოების უზრუნველსაყოფად თვეში სულ ცოტა 9 ათასი კუბმეტრი ინერტული მასალა სჭირდება, როგორი იქნება ამ მასალებისაგან დამზადებული საშენი დეტალების თვითღირებულება, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ 100-150 კილომეტრ მახლობლად გადმოზიდული მასალა აქ უნდა გარეცხონ, დაახარისხონ, უნდა შეუერგდნენ აუარებელ დანაკარგებს, რასაც გარეცხვის დროს წყალი წაიღებს და რის ჩამოზიდვაშიც ფულია გადახდილი.

მშენებელი ინჟინრები ამბობენ, საუკეთესო ხარისხის ინერტული მასალა ეძიებდა ტაბახმელის მაღლობთა წიაღიდან მივიღოთ. ხომ არ იქნებოდა მინაწაწეწონილი ტაბახმელისა და კოჯრის მაღლობთა წიაღის ქანების შესწავლა მათგან ინერტული მასალის, ბეტონის შეგავსების მისაღებად. სიახლოვე, ტრანსპორტირების სიადვილე, ყველა პირობა იმისათვის რომ აქ, თბილისის ამ უახლოეს გარეუბანშივე მოეწყოს მძლავრი, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი კერიერი, რასაკვირველია, თუ ხედლეულის ხარისხი ხელსაყრელი აღმოჩნდება.

ახლა უკვე ყველასათვის ცხადია, თუ რა დიდ გავლენას ახდენს ფულადი და მატერიალური რესურსების ეკონომიის, აგრეთვე საბინაო მშენებლობის დაჩქარების საქმეზე სამშენებლო ინდუსტრიის ისეთი პროგრესული საწარმოების გამართული მუშაობა, როგორიც სახლსამშენებლო ქარხნებია. თბილისის სამშენებლო ინდუსტრიის ტრესტის ნავთლუღის სახლსამშენებლო ქარხნის კოლექტივს, რომელიც კომუნისტური შრომის საწარმოს საპატიო სახელისათვის იბრძვის, თუ მას დაეხმარებიან და ხელს შეუწყობენ, შეესაძლებლობა აქვს თვეში გამოუშვას არა ორი ხუთსართულიანი 60-ბინიანი სახლი, არამედ სამი და ოთხიც. არის ამ ქარხნის შემდგომი გაფართოების, მისი სიმძლავრის ერთიორად გადიდების საშუალებაც, რაც ბევრად უფრო ნაკლები დაჯდება, ვიდრე ახალი სახლსამშენებლო ქარხნის მოწყობა და რაც დიდად დააჩქარებს თბილისში საბინაო მშენებლობას.

საჭიროა ამ საკითხების მოსაწესრიგებლად ამთავითვე ფიქრი, ზომების მიღება და განხორციელება, რათა მომავალ წლიდან ქარხანამ ყოველთვიურად გვაძლიოს არა ორი, არამედ გაცილებით მეტი დიდი საცხოვრებელი სახლის კომპლექტები.

დ. ლომთათიძე.

ᲗᲕᲔᲨᲘ ᲝᲠᲘ ᲡᲐᲮᲚᲘ? — ᲪᲝᲢᲐᲐ!

მშენებლობის მტკივნეულ საკითხებზე

ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ბევრმა თბილისელმა არ იცის, ეს პირველი გაგონება იყოს, რომ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში უ

საერთაშორისო
ჟურნალისტთა ფედერაციის
ცხოვრება

მეგობრულ, საქმიან ვითარებაში

ეკონომიური ურთიერთდასმარებისა საბჭოს კომისიის სხდომა

ბუქარესტი, 3 სექტემბერი. (საკდესი). აჟერპრესის სააგენტო იუწყება, რომ აქ გაიმართა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუდმივი კომისიის მორიგი სხდომა.

სხდომამ მოისმინა ინფორმაცია იმ ამოცანების შესახებ, რომლებიც დასახული აქვს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუდმივ კომისიას, განიხილა ევროპის სოციალისტური ქვეყნების სათბობ-ენერგეტიკულ ბალანსთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები და შეაჯამა 1962-1963 წლებში შესრულებულ მეცნიერულ-კვლევით სამუშაოთა შედეგები.

მომზადდა აგრეთვე 1964-1965 წლების მეცნიერულ-კვლევით სამუშაოთა გეგმა; შემუშავდა კონკრეტული ღონისძიებანი დასახულ სამუშაოთა შესასრულებლად და მიღებულია შესაბამისი რეკომენდაციები და გადაწყვეტილებანი.

კომისიამ დააზუსტა გეგმა მუშაობისა 1963 წლის დამლევამდე, შეიმუშავა 1964 წლის მუშაობის გეგმის პროექტი და სხვ.

კომისიის სხდომა მიმდინარეობდა მეგობრულ და საქმიან ვითარებაში.

ტელეგრამები გვატყობინებენ

☐ საფრანგეთის კომპარტიის გენერალური მდივანი მორის ტორეზი და ჟანეტა ვერნერში საფრანგეთში დაბრუნდნენ საბჭოთა კავშირიდან, სადაც დასასვენებლად იმყოფებოდნენ.

☐ ბრიტანეთის მრეწველთა ფედერაცია — ინდუსტრიული მწარმოებელი ორგანიზაცია მოუწოდებს მთავრობას მოახდინოს „ადგილი სავაჭრო პოლიტიკის ლიბერალიზაცია და გაიფართოოს ვაჭრობა სოციალისტურ ქვეყნებთან.

☐ გასული წლის დამლევისათვის ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა კონგრესში შემავალი პროფკავშირების წევრთა საერთო რიცხვმა 8.315.832 კაცი შეადგინა, 1961 წელთან შედარებით ქალთა რიცხვი 28.957-ით გადიდდა, მაშინ როცა მამაკაცთა რიცხვი 26.500-ით შემცირდა.

☐ ჰოკაიდოს კუნძულზე დაიწყო დიდი სამხედრო მანევრები, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს 13 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, 24 ხომალდი, 55 თვითმფრინავი. პრესის ცნობებით, ამ მანევრების, რომელიც „ავროორას“ სახელწოდებას ატარებს, — ძირითადი მიზანია შეიმუშაოს ყველა გვარეობის ჯარებისა და მათი შტაბების ურთიერთმოქმედება.

☐ 2 სექტემბერს, სალამოს სრულიად ინდოეთის რადიომ გადასცა ცნობა, რომ ძლიერი მიწისძვრა მოხდა ჩრდილოეთ ინდოეთში ქაშმირის ხეობაში. პირველი ცნობების თანახმად დაინგრა ორმოცდაათი სოფელი. ფიქრობენ, რომ დაიღუპა დაახლოებით ასი კაცი და ხუთასი მძიმედ დაშავდა.

☐ არგენტინის ცენტრალურ ნაწილს თავს დაატყდა კოკისპირული წვიმები, რამაც ამ უკანასკნელ ათწლეულში უმაგალითო წყალდიდობა გამოიწვია. წყლით დაიფარა მთელი ქალაქები და სოფლები, ასეულ ათასობით ჰექტარი საძოვრები და ყანები.

წყალდიდობის ადგილებში გაგზავნილია სამხედრო ნაწილები, პოლიცია და მოსახლეობა, რომლებიც ეწევიან საშველ სამუშაოებს.

მოძალეობის წინააღმდეგ

ბონი, 2 სექტემბერი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის ნაციზმის დროს დევნილ პირთა გაერთიანების ანტიფაშისტური ორგანიზაცია თავის ბიულეტენში მტკიცე პროტესტს აცხადებს ყოფილ სს-ელთა და ვეფაპოლთა მოძალეობის წინააღმდეგ „კონსტიტუციის დაცვის ფედერალურ უწყებაში“. იგი მოითხოვს ყოფილ ნაცისტთა გაძევებას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საზოგადოებრივი ცხოვრებიდან. ჰიტლერული პოლიტიკის გუშინდელი განმახორციელებელნი, წერს ბიულეტენი, ახლა „იცავენ“ ადამიანის უფლებებსა და დემოკრატიას. საკვირველი არ არის, ხაზს უსვამს ბიულეტენი, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში უკვე რამდენიმე წელია წარმოებს კამპანია ნაციზმის მსხვერპლთა ორგანიზაციის აკრძალვისათვის, მაშინ როცა „ძველი ჰიტლერული გვარდია — „ჰიაგი“ (ყოფილ სს-ელთა გაერთიანება. — საკდესის კორ. შენიშვნა)— აღიარებულია საერთო სასარგებლო ორგანიზაციად“. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადება, რომ არ შეიძლება უარი ითქვას ყოფილ ნაცისტთა სამსახურზე, რომლებსაც „გამოცდილება“ აქვთ, პროვოკაციაა ფაშიზმის ყველა მსხვერპლის წინააღმდეგ.

დასავლეთ გერმანიის ნაციზმის დროს დევნილ პირთა გაერთიანების ანტიფაშისტური ორგანიზაცია მოითხოვს შეიქმნას საზოგადოებრივ დაწესებულებებში, ყოფილ ნაცისტ დამნაშავეთა გამომძიებლების კომიტეტი აგრეთვე პასუხისგებაში მიეცენენ ის პირნი, რომელთა მიზეზით შეაღწიეს მათ იქ.

საერთაშორისო წითელი ჯვრის ასი წლისთავი

ჟენევა, 2 სექტემბერი, (საკდესი). გუშინ ჟენევაში ზეიმით აღნიშნეს საერთაშორისო წითელი ჯვრის ასი წლისთავი. დილით ქალაქის თაკარში გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელსაც დაესწრნენ „საერთაშორისო წითელი ჯვრის 100 წლისთავის კონგრესის“ მონაწილენი — მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის წითელი ჯვრის, წითელი ნახევარმთვარისა და წითელი ლომისა და მზის ეროვნულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები. კონგრესის მონაწილეთა შორის არის საბჭოთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს პროფესორი გ. ა. მიტერევი. დელეგაცია საბჭოთა კავშირის წითელი ჯვრის საზოგადოებათა დაახლოებით 50 მილიონი წევრის წარმომადგენელია.

შუადღისას ზეიმის მონაწილეებმა გვირგვინით შეამკეს ანრი დიუნანის ძეგლი. ეს შვეიცარიელი მოქალაქე — სოლფერინოსთან მომხდარი სისხლისმღვრელი ბრძოლის (1859 წელი) მრავალი ათასი დაჭრილის დაღუპვისა და ტანჯვის მოწმე — წითელი ჯვრის ორგანიზაციის შექმნის ინიციატორი იყო.

ნაშუადღევს მთელი ჟენევა გაიარა წითელი ჯვრის 100 წლისთავისადმი მიძღვნილმა დიდმა კორტეჟმა.

თუმცა ჩვენს დღეებში წითელ ჯვარს თავის ერთ-ერთ ამოცანად მიაჩნია დახმარება გაუწიოს დაჭრილებსა და სამოქალაქო მოსახლეობას შეიარაღებული კონფლიქტების დროს, მის საქმიანობაში სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბრძოლას ომის საფრთხის წინააღმდეგ, ხალხთა მშვიდობისათვის. ამ კეთილშობილური ტენდენციის გამოვლინება იყო, კერძოდ, ატომური იარაღის ყველა გამოცდის აკრძალვის რეზოლუცია, რომელიც გუშინ მიიღო „საერთაშორისო წითელი ჯვრის 100 წლისთავის კონგრესმა“.

უცხოური კაპიტალი დასავლეთ გერმანიაში

ბონი, 2 სექტემბერი. (საკდესი). როგორც პამბურგის ჟურნალი „შპიგელი“ იუწყება, აქციებისა და ფასიანი ქაღალდების 15 პროცენტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში უცხოელებს ეკუთვნის. ფულის რეფორმის შემდეგ 1948 წელს უცხოელებმა — უპირატესად ამერიკელებმა, შვეიცარიელებმა და ჰოლანდიელებმა დასავლეთ გერმანიაში იყიდეს 35 მილიარდი მარკის სამრეწველო საწარმოთა აქციები და 7 მილიარდი მარკის ფასიანი ქაღალდები. ამას გარდა, უცხოეთის ფირმებმა და კერძო პირებმა 9 მილიარდი მარკა დაბანდეს გერმანიის ბანკსა და კერძო ფირმებში. უცხოელ მეწარმეთა საერთო სარგებლობამ (დივიდენდი და პროცენტი) უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში 12 მილიარდი მარკა შეადგინა.

კვლავ ახალი რეპრესიები

პარიზი, 2 სექტემბერი. (საკდესი). ახალი ღოკაუტები, ახალი გაფიცვები, ახალი რეპრესიები — აი არსი უკანასკნელი ცნობებისა ფრანკოს ესპანეთის ამბების შესახებ.

დილის ორ-სამ საათზე, იუწყება იუნინო ფრანსეზ დ' ენფორმასიონის სააგენტო, გაფიცულ მეშახტეთა სახლებში მიდიან პოლიციელები ან „სამოქალაქო გვარდიის“ ჯარისკაცები, იმუქრებიან, რომ შეამტვრევენ კარს, თუ მაშინვე არ გაუღებენ, ხელკეტებით ცემენ გაფიცულ მუშათა ცოლებს, დედებს, ძმებს, დებს. ფრანკოს ჯაშუშები თავს ესხმიან უწინარეს ყოვლისა გაფიცვის ყველაზე აქტიურ მონაწილეებს.

52 ქვეყნის მონაწილეობით

ჟააგა, 2 სექტემბერი. (საკდესი). დღეს სჰევენინგენში გაიხსნა XI საერთაშორისო კონგრესი გენეტიკის საკითხებზე. კონგრესში მონაწილეობს 52 ქვეყნის 1.500-ზე მეტი მეცნიერი. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობს აგრეთვე საბჭოთა მეცნიერების დელეგაცია.

კონგრესი 10 სექტემბრამდე გასტანს.

მშვიდობიანი თანაარსებობისათვის

ვარშავა, 2 სექტემბერი. (საკდესი). მთელი პოლონელი ხალხი კმაყოფილებით შეხვდა ხელშეკრულებას ატომური იარაღის გამოცდის ნაწილობრივი აკრძალვის შესახებ, განაცხადა თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის მებრძოლთა კავშირის მთავარი გამგეობის თავმჯდომარემ ი. უაზიცკიმ, რაც გამოვიდა 20 ათასიან მიტინგზე ჰიტლერელთა ყოფილი სიკვდილის ბანაკის ტერიტორიაზე რადოგოშჩში, ლობის მახლობლად.

ჩვენ გვაკვირვებს და გვაშფოთებს, რომ ჩინელი ხელმძღვანელები ილაშქრებენ მოსკოვის ხელშეკრულების წინააღმდეგ, თქვა შემდეგ ი. უაზიცკიმ. არ შეიძლება დავთანხმოთ იმას, რომ მსოფლიოს ისტორიაში ყველაზე ჰუმანური იდეის — სოციალიზმის გავრცელება შეიძლებოდეს საშინელი იარაღის საშუალებით. ჩვენ არ გვინდა სოციალიზმის აშენება რადიაქტიული ნივთიერებებით მოწამლულ მსოფლიოს ნანგრევებზე. სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა საჭირო და შესაძლებელია, განაცხადა ი. უაზიცკიმ დამსწრეთა ტაშის გრიალში.

ᲔᲛᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ნიუ-იორკში „დემოკრატიული ესპანეთისათვის“ კომიტეტის წევრებმა დემონსტრაცია გამართეს ნიშნად პროტესტისა იმის წინააღმდეგ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები დახმარებას უწევენ დიქტატორ ფრანკოს „ესპანელი ხალხის წინააღმდეგ შესაიარაღებლად“. ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: დემონსტრანტები გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან ამერიკის შეერთებული შტატების მისიის წინ.

(საკდესის ფოტოქრონიკა).

ᲑᲔᲚᲒᲘᲘᲡ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲜᲐᲬᲘᲚᲨᲘ რამდენიმე სერიოზული შეტაკება მოხდა ქვეყნის მოსახლეობის ორ ძირითად ჯგუფს — ჰოლანდიურის მახლობელ ენაზე მოლაპარაკე ფლამანდიელებსა და ფრანგულად მოლაპარაკე ვალონელებს შორის. რამდენიმე ათასმა ფლამანდიელმა დემონსტრანტმა, რომლებიც პროტესტს აცხადებენ ბელგიის სანაპიროს მოსახლეობის გაფრანგების წინააღმდეგ, მოაწყო ავტომანქანებით ლაშქრობა ნიიეპორტიდან ზეებრიუგეში. ლაშქრობის გზაზე მოხდა რამდენიმე შეტაკება ვალონელთა კონტრდემონსტრაციებთან. ამის შედეგად 10 კაცი დაიჭრა და ამდენივე დაპატიმრებულ იქნა. ასეთი შეტაკებანი ბურუუაზიულ ბელგიაში პირველად როდი ხდება. ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ვალონელი კონტრმანიფესტანტები ლანძღვა-გინებით ხვდებიან საავტომობილო ლაშქრობის მონაწილეებს.

ფოტო კეისტონ-საკდესისა.

ᲐᲑᲡᲣᲠᲓᲣᲚᲘ ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲐᲜᲘ

სოფია, 2 სექტემბერი, (საკდესი). ციოლსწამების, სიცრუისა და ინსინუაციათა საშუალებით ჩინელი ხელმძღვანელები ებრძვიან არა მარტო მოსკოვის ხელშეკრულების წინააღმდეგ, არამედ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ლენინური ხაზისა და პოლიტიკის წინააღმდეგ, მშვიდობიანი თანაარსებობის წინააღმდეგ, მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა და ხალხთა იმ მეცადინეობის წინააღმდეგ, რომ შენელდეს საერთაშორისო დაძაბულობა, თავიდან იქნეს აცილებული ახალი ომი, განმტკიცდეს საყოველთაო მშვიდობა, წერს დღეს გაზეთი „რაბოტნიჩესკო დელო“ სტატიაში „ᲐᲑᲡᲣᲠᲓᲣᲚᲘ მტკიცებანი“. და სავსებით ცხადია, აღნიშნავს გაზეთი, რომ ეს ბრძოლა გამოხატავს ჩინელი ხელმძღვანელების საერთო თვალსაზრისს, ომისა და მშვიდობის საკითხებზე თვალსაზრისს, რომელიც ითვალისწინებს ახალი მსოფლიო ომის არა თუ გარდუვალობას, არამედ საჭიროებასაც, ასეულ მილიონობით ადამიანის, მათ შორის ჩინელების დაღუპვას თერმოატომურ კატასტროფაში.

ჩვენ მხეცური კონცეფციის წინააღმდეგი ვართ, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი.

საბჭოთა მთავრობამ გამოხატა ყველა უბრალო ადამიანის, მსოფლიოს ყველა ხალხის აზრი, რომლებიც გადაჭრით ილაშქრებენ ჩინეთის ხელმძღვანელების ამ ანტიჰუმანური კონცეფციის წინააღმდეგ, წერს „რაბოტნიჩესკო დელო“.

მტკიცებებს, რომლებსაც შეიცავს ჩინეთის მთავრობის წარმომადგენლის ამა წლის 15 აგვისტოს განცხადება იმის შესახებ, თითქოს მოსკოვის ხელშეკრულება უფრო ხელსაყრელი იყოს ომის ძალებისათვის, ვიდრე მშვიდობის ძალებისათვის, გაზეთი აბსოლუტურად თვითნებურსა და დაუსაბუთებელს, ულოგიკოსა და აბსურდულს უწოდებს.

ᲡᲘᲠᲘᲐ-ᲔᲠᲐᲧᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲔ

დამასკო, 2 სექტემბერი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა სირია-ერაყის ერთობლივი კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია, რომ 26 აგვისტოდან 2 სექტემბრამდე დამასკოში გაიმართა სირიის არაბთა რესპუბლიკის დელეგაციისა და ერაყის რესპუბლიკის დელეგაციის მოლაპარაკება. დელეგაციებს მეთაურობდნენ სირიის „რევოლუციური სარდლობის ეროვნული საბჭოს“ თავმჯდომარე გენერალი ამინ ჰაფეზი და ერაყის პრეზიდენტი აბდელ სალამ არეფი.

ორივე დელეგაცია შეთანხმდა, რომ საჭიროა „თანდათანობით დაამყარონ სრული ეკონომიური ერთობა“ სირიასა და ერაყს შორის, გააძლიერონ ამ ორი ქვეყნის სამხედრო თანამშრომლობა და გააფართოონ კულტურული ურთიერთობა.

დელეგაციებმა აღნიშნეს, რომ უნდა „შეაჩერონ არაბთა ქვეყნების ურთიერთობის შემდგომი გაუარესება“ და შექმნან „ხელშემწყობი პირობები არაბთა ერთობის განხორციელებისათვის“.

პრეზიდენტმა არეფმა სთხოვა სირიის „რევოლუციური სარდლობის ეროვნული საბჭოს“ თავმჯდომარეს ამინ ჰაფეზს ეწვიოს ერაყს. ჰაფეზი დათანხმდა მიწვევაზე.

ᲔᲓᲔᲚᲕᲐᲘᲡᲘ ᲓᲣᲜᲐᲘᲡ ᲛᲚᲕᲠᲘᲔ ᲢᲐᲚᲦᲔᲑᲨᲘ

მაუტჰაუზენის ვარდები...

ᲕᲐᲮᲐᲣᲡ ხეობა... ვენახები დუნაის პირას. გზა ბზიფის ნისლიან ხეობას ჰგავს. ამ მიწაზე, სადაც ყვავილების მოწყვეტასაც კე კრძალავს ადათი, სადაც ირმის ჯოგები მოულოდნელად გზას გადაგიჭრიან შუა სოფელში, და არავინ არ ესვრის მათ, უცაბ იქუხებს ხიროსიმ ასაათ მრისხანე სიტყვა:

— მაუტჰაუზენი!

— ჟანგიანი და სისხლშემხმარი მავთულსლართები...

აქ ესესელები „ᲙᲣᲠᲓᲦᲔᲚᲔᲑᲖᲔ ნადირობდნენ“ — ხიშტით გმირავდნენ დედებს და ჩვილთა გულებს.

აქ სიკვდილიც კი აირწინაღით დადიოდა. მოწამლული იყო მიწა და ჰაერი... გაზის კამერებში წვავდნენ ადამიანის ტვინსა და გულს...

მაუტჰაუზენის ფერფლი ყრია ევროპის მთებსა და ველებში. მაუტჰაუზენის წყალსა და პურს იმ ფერფლის გემო აქვს...

... პოსტამენტზე ფეთქავს გახლეჩილი გული. ეს საფრანგეთი დასტირის გაზის კამერებში დაწყვარ რვა ათას შვილს. შავძაღიანი ესპანეთი გლოვობს ექვსი ათას ვაჟკაცს.

გლოვობს დედა-პოლონეთი 30 ათას შვილს, გლოვობს უნგრეთი და იუგოსლავია, გლოვობს იტალია და დანია...

... მარმარილოში სუნთქავს კაცი-ლეგენდა გენერალ-ლეიტენანტი დიმიტრი კარბიშევი. ძეგლზე რუსულ და გერმანულ ენებზე ამოტვიფრულია: „მეცნიერს, მეომარს, კომუნისტს დიმიტრი კარბიშევს, სიცოცხლე და სიკვდილი მისი იყო გმირობა სამშობლოს სასახელოდ“.

მარწუხით და შანთით დაგლიჯეს მისი გულმკერდი, სიტყვა ვერ ათქმევინეს, კაცეკმიებმა საკონცენტრაციო ბანაკის ეზოში გამოიყვანეს სუსხიან ყინვაში, ცივ წყალს ასხამდნენ ტანზე, წიოდა ქარი მაუტჰაუზენის მავთულსლართებში... კარბიშევი ყინულის ბოძად იქცა... „ესეც არ აკმარეს. გაყინული გვამი გიზიან კამერაში დაწვეს...

კარბიშევი ერთი იყო... 40.000 საბჭოთა ადამიანი ცოცხლად დაწვეს ფაშისტებმა მაუტჰაუზენის ღუმელებში, ცივილიზებული ევროპის შუაგულში...

მაუტჰაუზენი... მილიონი კაცის სასაფლაო.

ადამიანებო, გახსოვდეთ მაუტჰაუზენი. ნურასოდეს ნუ განმეორდება იგი.

მაუტჰაუზენში ფრთხილად უნდა იყო, ყოველ ნაბიჯზე სამმო სასაფლაოა. იქ მარხია ათასობით უცნობი ჯარისკაცი...

განა მარტო მაუტჰაუზენში...

ევროპა მოფენილია ადამიანთა ძვლებით...

ვენის სასაფლაოზე შუბერტისა და ბეთჰოვენის საფლავების ახლოს მარხია ქართველი ვაჟკაცი **ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲫᲔ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡᲨᲕᲘᲚᲘ**, 1921 წელს დაბადებული და 1945 წლის 8 მაისს —გამარჯვების დღეს მტრის ტყვეით განგმირული... აქვე საბჭოთა მეომრების სამმო საფლავებია. საბჭოთა ჟურნალისტებმა ცოცხალი ყვავილებით შეგამკეთ მათი საფლავები... ჯერ კიდევ ცრემლი სდით დედებს და საცოლეებს, აქვე კი რეინის პირას ისევ აყღარუნებს იარაღს ბუნდესვერი.

ევროპაში უნდათ დაავიწყონ ხალხს ომის საშინელებანი.

ესტრადის ვარსკვლავს მარლენ დიტრიხს ბონელმა და ვენელმა კაპიტალისტებმა ბევრი ოქროო აძლიეს, ოღონდ არ ემღერა პოპულარული სიმღერა „სად დარჩნენ ჯარისკაცები“.

მარლენ დიტრიხი მაინც მღერის... არა და არა! მილიონთა ცრემლი და სისხლი არ გაიყიდება ოქროზე!

იმღერე, დიტრიხ, მშვენიერო ქალო! მაუტჰაუზენში არ ხარობს ბალახი და ვარდი იმ საშინელი დღეების შემდეგ.

იმღერე, დიტრიხ, დაე შენმა სიმღერამ ვარდების ღიმილი მოაფინოს მაუტჰაუზენის ცოდვილ მიწას...

„ᲩᲕᲔᲜ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲐᲠᲐ ᲕᲐᲠᲗ“

ᲕᲔᲜᲒᲔᲚᲘᲡ მოედანზე ვენაში ჩვენ ვნახეთ მარქსის „კაპიტალი“.

—ეს არის ერთადერთი კაპიტალი, რომელმაც სასიკეთოდ დააფრთხო კაპიტალისტები. კაპიტალისტებს შეურაცხყოფად მიაჩნიათ კაპიტალისტი რომ უწოდონ, — თქვა გამომცემლობა „გლობუსის“ ერთმა მუშამ.

ეს სიტყვები გაგვახსენდა, როცა ქარხანა „ზიმერინგ-პაუკენვერკს“ ვეწვიეთ ვენაში... ჯერ „სტუმართმოყვარეობამ“ გაგვაოცა. ქარხანაში შესვლის წინ ხელი მოგვაწერინეს დოკუმენტზე. თეთრზე შავად ეწერა: 100 ათასი შილინგი უნდა გადაიხადოთ, თუ მიაყენეთ ზარალი ქარხანას... „ორი კაცი ზედამხედველად მოგვიჩინეს. ამის შემდეგ ბ-ნი ვიმარი, ხელმძღვანელი კაცი, ქარხნის ერთ-ერთი დირექტორი, მოგვესალმა: „ჩვენ ძალიან გვაზარებს თქვენი მოსვლა, ჩვენ ძალიან კარგი ხალხი ვართ, ჩვენ კაპიტალისტები არა ვართ“.

გვაჩვენეს საბჭოთა კავშირის დაკვეთით აშენებული ქიმიური რეაქტორი.

— ჩვენ ვემსახურებით ბუულგარეთს, ჩეხოსლოვაკიას, უნგრეთს. ამას წინათ ატომური ელსადგურისათვის ინგლისს გავუგზავნეთ ტექნიკური აღჭურვილობა, — გვეუბნებოდა ბ-ნი ვიმარი. საამქროებში ლენინგრადელი ჩარხებიც გვაჩვენეს.

ბ-ნი ვიმარი იდეალურ სურათს ხატავდა, ჯერ ერთი, კაპიტალისტები არა ვართ. მეორე, „პოლიტიკაში არ ვერევითო.

ვიღაცამ იკითხა, მუშებს შორის კომუნისტები თუ არიანო.

ბ-ნმა ვიმარმა დაბნეულად უპასუხა, სამწუხაროდ არა, ყველანი სოციალისტები არიანენ.

ათი წლის წინათ კი ქარხანაში 40 პროცენტი კომუნისტები იყვნენ.

ბ-ნმა ვიმარმა ისიც თქვა, ჩვენს ქარხანაში ქალები არ მუშაობენო...

მომდევნო საამქროში დაზგებთან ვნახეთ მუშა ქალები. ბ-ნმა ვიმარმა „თვალი აგვიხვია“: ესენი მუშები არ არიან, დაზგებთან დამხმარედ მუშაობენო...

ბ-ნი ვიმარი თანდათან შედიოდა ბარონ მიუნჰაუზენის როლში: ჩვენს ქარხანაში, ამბობდა იგი, —5-დღიანი სამუშაო კვირაა, მუშებს მანქანები აქვთო. თუმცა იქვე გაასწორა, თუ ცოლ-ქმარი ერთად მუშაობს, შეუძლიათო მანქანის შეძენა კრედიტით. ჩვენი მუშები შვეიცარიისა და საფრანგეთში ისვენებენო, თუმცა ქარხანაში არ აღმოჩნდა არც ერთი მუშა, რომელიც საფრანგეთში ყოფილიყო.

ბ-ნი ვიმარი „ზალცბურგის ხარს ღებავს“, — გვითხრა ერთმა მუშამ, როცა ქარხანა დავტოვეთ... იცით რას ნიშნავს ეს? ალაყაში მოქცეული ზალცბურგელი რაინდები შუა საუკუნეებში შიმშილით უნდოდათ ამოეხოცათ გერმანელებს... ზალცბურგელებს კი ერთადერთი ხარი ჰყავდათ. ყოველდღე სხვადასხვაფერად ღებავდნენ იმ ერთ ხარს და მტრის საჩვენებლად მოედანზე გამოჰყავდათ. ვითომ სურსათი გვაქვსო, თუმცა შიმშილით იხოცებოდნენ. ასეა ბ-ნი ვიმარიც... ერთი ორად უნდათ მოგაჩვენონ.

ავსტრიელ მუშას აქვს თავისი ბიუჯეტი. უბის წიგნაკში ჩამოწერილი აქვს **მთელი გასავალი. თვეში სამჯერ ღუდ,** ორჯერ კინო, შაბათი და კვირა ვენის ტყეში ბუტერბროდებით კვება. და ხშირად ისე ხდება, რომ თვეში ორჯერ ქალაქგარეთ როცა გადის, ნაყინს ვერ უყიდის ბავშვს, ზედმეტ ბოთლს ლუდს ვერ დალევს, რადგანაც ეს მისი საოჯახო ბიუჯეტით არ არის გათვალისწინებული... ორი კბილის ჩადგმა 5.000 შილინგი ღირს. მუშა საშუალოდ 1.500 შილინგს იღებს თვეში. ოპერაცია საავადმყოფოში 3-5 ათასი შილინგი ჯდება. ბინის ქირას მიაქვს მუშის ხელფასის მესამედზე მეტი.

ამას ამბობდა ავსტრიელი მუშა.

ისედაც აშკარა იყო, რომ ბ-ნი ვიმარა ზალცბურგის ხარს ღებავდა.

„ᲛᲗᲔᲚᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲨᲘᲨᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲔᲑᲘ“...

ᲕᲔᲢᲔᲠᲜᲘᲡ კლაგენფურტი — ფედერალური მიწის — კარინთიის დედაქალაქია. ოტელ „სამი ყვავის“ გვერდით, სადაც ცხოვრობდენ საბჭოთა ჟურნალისტები, იყო კინოთეატრი „მოცარტი“. აქ უჩვენებდნენ ჰოლივუდის ფილმს, „მთელი მსოფლიოს შიშველი ქალები“. თუმცა 14 წლამდე ახალგაზრდობას აკრძალული ჰქონდა დაყურება, სწორედ მოზარდები ესწრებოდნენ ჰოლივუდისა და მიუნხენის კინოსტუდიის ამ პორნოგრაფიულ ფილმს. კინო და ტელევიზორი მთელ სახელმწიფოში დათმობილი აქვთ ჰოლივუდის, დასავლეთ გერმანიის, საფრანგეთის, მთელი მსოფლიოს იაფფასიან კინოხელოსნებს, რომლებიც ფამლავენ ადამიანის გონებას. „მთელი მსოფლიოს შიშველი ქალები“ ეს არის პორნოგრაფია პლუს რეკლამა. კაპიტალისტები აფინანსებენ კინოხელოვნებას, რათა ეკრანზე იხილონ თავიანთი საქონლის რეკლამა. ეკრანის „გმირები“ სვამენ იმ ვისკის, დადიან იმ მანქანით, საქონელს ყიდულობენ იმ მაღაზიებში, რომელთა მფლობელებიც აფინანსებენ ფილმს. კაპიტალისტებს მიაჩნიათ, რომ რეკლამის ყველაზე ეფექტური საშუალებაა შიშველი ქალი.

პორნოგრაფია ეკრანიდან გადმოდის ცხოვრებაში. ცისფერი დუნაის ნაპირებზე არის პლაჟები, რომელშაც ეიახიან „თავისუფალი ტანის ჟულტურაა. როგორც „ფოლკსშტიმეს“ რედაქციაში გვითხრეს, აქ ნატამალიც არ არის ქალური პატიოსნებისა და ოჯახური მორალისა. აქ სენსაციის მოყვარული დონ-ჟუანები და კაზანოვები გამოდიან არენაზე. აქვე ჩასაფრებულია მთელი ჯოგი ბურჟუაზიული რეპორტიორებისა. რასაც ცოლები უმალავენ ხანდახან ქმრებს (ისე ბევრს არაფერს უმალავენ), საქვეყნოდ ჰყვება ბულვარული „ექსპრესის“ ან ყვითელი პრესის სხვა ორგანო. ისინი ეძებენ „საკბილოს“ „მულენ რუჟში“, „თავისუფალი სხეულის პლაჟებზე“, ან პირუპირ ვენის ქუჩებში, სადაც საღამოობით ჰოლივუდის ფორმატის ქალიშვილები და ქალები ქოლგით ხელში დგანან გაჩახჩახებულ ვიტრინებთან, კაფე-ესპრესოებთან, ძველ ტავერნებთან და დუქნებთან და მუშტარს ელიან. ისინი თავიანთი სხეულით ვაჭრობენ. იქვე დგანან თეთრხელთითმნიანი ჟანდარმები. მეძავები მათ თვალწინ აკეთებენ ბიზნესს.

ᲓᲝᲥᲢᲝᲠ ᲤᲝᲚᲔᲠᲘᲡ ᲣᲫᲘᲚᲝ ᲦᲐᲛᲔ...

ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ზალცბურგში მეფისტოფელი ბატონობს. არის მეორე ზალცბურგი — მუზების ზალცბურგი.

ხელოვნებათმცოდნე დოქტორი ფოლერი გვაცნობს მუზების ზალცბურგს.

ნახეთ ზალცბურგის ტაძრები და ფრესკები, მოუსმინეთ მოცარტის მუსიკას, როცა უკრავს გოთიკური ტაძარში მოცარტის სახლის გვერდით მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ორღანი, ეწვიეთ ზალცბის ნაპირებზე მსოფლიოს მუსიკალური ფესტივალების სასახლეს, „მოცარტეუმს“, იხილეთ მუსიკალური მუზების ოლიმპო, და თქვენს წინ გადაშლება მუზების ზალცბურგი...

... დოქტორ ფოლერს უყვარს ხელოვნება. ჩვენ ვაჩუქეთ დოქტორ ფოლერს ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები კინოფირზე გადაღებული. მეორე დღეს დოქტორმა გვითხრა:

წუხელ, როცა თქვენ ზალცბურგში გეძინათ, მე ვმოგზაურობდი მშვენიერ საქართველოში, გასაოცარი ხუროთმოძღვრების ქვეყანაში. მისთვის აღმოჩენა იყო უფლისციხე და ვარძია, სვეტიცხოველი და ნიკორწმინდა, ალავერდი და გელათი... დოქტორ ფოლერს უნახავს რომისა და ვენეციის, პარიზისა და ლონდონის ხუროთმოძღვრული ძეგლები, ბრწყინვალედ იცნობს ევროპის არქიტექტურას, და მაინც გააკვირვა ქართველმა ხუროთმოძღვრულმა გენიამ ჭაღარა ავსტრიელი მეცნიერი. — აუცილებლად უნდა შევისწავლო საქართველოს არქიტექტურა, ეს საინტერესოა, — თქვა დოქტორმა ფოლერმა.

ზალცბურგს გვაცნობდა სხვა პროფესორიც ანტონ ტალბაუერი. ბ-ნი ტალბაუერი მოდერნისტული ხელოვნების ქურუმია. თეატრის ფოიეში კერტ ფუმერის სამი აბსტრაქტული ტილო „წყალი“, „ცეცხლი“, და „ჰაერი“ გვაჩვენა. სურათები სასაცილოდ იყო დაჯაბნილი, მაგრამ ყველაზე სასაცილო ის იყო, რომ ბატონ ტალბაუერს აერია ერთმანეთში, რომელი იყო წყალი, რომელი ჰაერი და რომელი ცეცხლი. ყველა ერთნაირად იყო ნაჯღაბნი.

ზალცბურგის მუსიკალური ფესტივალების სასახლეში გვაჩვენეს ქანდაკება, რომელსაც ეწოდებოდა „სიმფონია“. ბ-ნი ტალბაუერი ურტყამდა ჩაქუჩს სხვადასხვა ნერტილებზე და ქანდაკება გამოსცემდა უცნაურ ხმას... ჟურნალისტებმა ხელოვნების ამ „შედევრს“ შეარქვეს „სიმფონია ჩაქუჩისათვის“. ოსკარ კოკოშკოს ზალცბურგში აქვს მხატვართა მსოფლიო სკოლა, თუმცა მისი გობელენი „ამური და ფსიქე“ ამურების დასაფრთხობად თუ გამოდგება.

ᲕᲔᲜᲘᲡ ᲢᲧᲘᲡ ᲖᲚᲐᲪᲠᲔᲑᲘ

... **ᲐᲚᲐᲒᲔᲑᲘᲡ** თოვლიან მწვერვალებზე, ჩანჩქერებისა და ედელვაისების საბეფოში, გვაჩუქეს თეთრი ყვავილი —„არ დაგავიწყდე“...

რა დაგავიწყებს შუბერტის ადგილებს — ივგერმაიერჰოფს ლინეში, კარინთიის მომკელთა და მთიბავთა მზით გარეულ სახეებს, ტიროლის „იოდლებს“ — ლირიკულ და ედელვაისივითნაზ სიმღერებს, გარეული თხის ტყავის შორტებსა და ხოხბების ფრთაგარკვობილ ქუდებს... თეთრი ყვავილი „არ დაგავიწყდე“ გამახსენებ

რიონი კალაპოტს იცვლის

როდესაც ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ა. დიდებულიძის სახელობის ენერგეტიკის ინსტიტუტის დირექტორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს პ. შენგელიას შეეკითხა, თუ რა ძირითად საკითხზე მუშაობენ ამჟამად ინსტიტუტში, მან უპასუხა: ერთ-ერთი საკითხი ჩვენს კვლევით მუშაობაში არის მდინარე რიონის რეკონსტრუქცია ქ. ქუთაისის ფარგლებში.

— როგორც ცნობილია, — აღნიშნა პ. შენგელიამ, — რიონჰესის მშენებლობის შემდეგ წყალმა იკლო მდინარის იმ ნაწილში, რომელიც ქუთაისის ტერიტორიაზე მიედინება. წლის თითქმის 4-5 თვის განმავლობაში მდინარის კალაპოტი დამშრალია, რაც ხელს უწყობს ამ ადგილებში ანტინანიტარიული პირობების შექმნას და ამავე დროს გავლენას ახდენს ქალაქის კეთილმოწყობაზე.

როგორ მოხდება მდინარის რეკონსტრუქცია? პირველ რიგში დავიწროვდება რიონის კალაპოტი და იგი საყრდენი კედლების მარწუხებში მოექცევა, კედლოვანი ნაპირები სხვადასხვა მინარევებისაგან გაიწმინდება. ამავე დროს აქ რიონჰესის ხარჯზე დამატებით გაუშვებენ წყლის გარკვეულ რაოდენობას. ყოველივე ეს შექმნის იმის პირობებს, რომ ქალაქი წლის ყოველ დროს დაამშვენოს მდინარემ. რიონის კალაპოტის რეკონსტრუქციის შემდეგ მის სანაპიროზე გაშენდება მწვანე ნარგავები, აშენდება საცხოვრებელი სახლები.

რეკონსტრუქციის სამუშაოები პირველად დაიწყება ქალაქის ცენტრალურ ნაწილში.

მშრომელთა მომსახურეობისათვის

ბაიათული. (საკ. კორ.). ამ დღეებში ქალაქის ავტოპარკს ორი ახალი ავტობუსი შეემატა. ისინი ლენინის სახელობის და დასავლეთის მახტების მუშა-მოსამსახურეებს უწევენ მომსახურებას.

ყოველ დილით ავტობუსის სადგურიდან კომფორტაბელური ავტობუსები გადიან ქუთაისის, წყალტუბოს, ზესტაფონის, თერჯოლის, საჩხერისა და ჩხარის მიმართულებით.

ჭიათურის მარკით მორეულ მხარეებში

ჭიათურა. (საკ. კორ.). მოწონებით სარგებლობს უსინათლოთა საზოგადოების ჭიათურის სასწავლო-საწარმოო წამოწყების ქიმიური, საგალანტერეო და ლითონის გადამამუშავებელი საამქროების პროდუქცია.

ქიმიურ საამქროში აითვისეს ჭურჭლის საწმენდი უნივერსალური პასტა „ნედე" და თეთრეულის მათეთრებელი სითხე, რომლებიც დიდი მოწონებით სარგებლობენ დიასახლისებში.

ჭიათურელ უსინათლოთა პროდუქცია „ნედე" და მათეთრებელი სითხე იგზავნება არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში, არამედ რუსეთის, უკრაინის, შუა აზიისა და სხვ. შორეულ მხარეებში.

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

რევანშის წყურვილით...

„სპორინტერულ დისტანციაზე" მოუხდათ ბრძოლა მეტოქეებს — „ნეფტიანიკსა" და „დინამოს", ორიოდე კვირის წინ დინამოელები სტუმრად ბაქოში იყვნენ პირველი წრის მატჩისათვის, გუშინ კი „ნეფტიანიკს" თბილისში ვხედავდით საპასუხო ვიზიტით მეორე წრის შეხვედრისათვის.

საკავშირო ჩემპიონატების პრაქტიკაში მსგავს მოვლენებს არც თუ ხშირად ვხვდებით, მაგრამ ასეთი კალენდარი ხვდა წილად ორივე გუნდს. როგორც ცნობილია, ბაქოდან დინამოელებმა ორი ქულა ჩამოიტანეს, ამიტომ განაწყენებული „ნეფტიანიკი" რევანშის წყურვილით ეწვია თბილისს.

შედგა თუ არა რევანში?

— არა — ბაქოელებმა კიდევ ორი ქულა დაკარგეს და „ლიდერთა ჯგუფის უოფილ წარმომადგენლებს ახლა არც თუ სახარბიელო ბალანსი აქვთ სატურნირო ცხრილში.

ძალისმიერმა თამაშმა დიდი ხანია დაკარგა თავისი მნიშვნელობა, მაგრამ თუ მას უხეშობაც ერთვის, ფეხბურთი კარგავს არა მარტო სანახაობით სახეს, არამედ შინაარსსაც. გაკვირვებას იწვევს ერთი რამ — რატომ აირჩიეს ეს არასასურველი ტაქტიკა სტუმრებმა?

გავიხსენოთ თამაშის პირველი წუთები, როდესაც მეტოქეველი სულ უფრო ხშირად გადიოდა მარჯვენა მხრიდან ორ მეტოქეს შორის, ანდა მესხის დუელი „ნეფტიანიკის" მცველებთან. ამის საწინააღმდეგო ყველაზე უკეთეს საშუალებად სტუმრებმა გამონახეს სარმა, დაუშვებელი ილეთები.

და მაინც კორექტულობამ, ტექნიკამ გაიმარჯვა — დინამოელთა იერიშებს უფრო დახვეწილი, სრულყოფილი სახე ჰქონდა მიუხედავად იმისა, რომ ცენტრში ფლანგებიდან გათამაშებულ კომბინაციათა დამაგვირგვინებლებს ვერ ვხედავდით. ბაქოელთა ცდას, როგორმე შეექმნათ კონტრთამაში, სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. მათი ფორვარდები, როგორც კი ჩაიგდებდნენ ბურთს, ყოველგვარი მომენტისა და მანძილის გაუთვალისწინებლივ ურტყამდნენ კარში, ამასთანავე უმისამართოდ.

ყველა მომენტის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. პაექრობამ დიდ დაძაბულობას 21-ე, 33-ე, 34-ე და 35-ე წუთებში მიაღწია. პირველი შემთხვევაში სტუმრებმა ღია კარიდან გამოიტანეს ბურთი, მეორეში — თბილისელებმა დაკარგეს კარის აღების რეალური შესაძლებლობა, მესამეში—ბაქოელმა მარჯვენა გარემარბმა 5-6 მეტრიდან „ცას სტყორცნა" ბურთი და ბოლოს მესხისა და კალოეანის კომბინაცია დამთავრდა მესხის დარტყმით. ბურთი მოხვდა ახუნდოვს შეიცვალა მიმართულება და კარის მარცხენა კუთხეში გაეხვია — 1:0.

ბრძოლა უფრო გამწვავდა. იყო შემთხვევა, როდესაც დინამოელთა კარი ძალმა იხსნა, „ნეფტიანიკის" თავდასხმელებიდან აქტიურობდა მარცხენა ფრთა, სადაც დირიჟორის როლს მარქაოვი ასრულებდა. ტაიმის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე წაგებულ-ქცეული თბილისელებს - ხელა. მესხის მიწოლებული ბურთი ყველაზე ადვილად ეროვნულად [illegible] აღმოჩნდა მეკარესთან და როდესაც მზად იყო დასარტყმელად, სარმით გაუმასპინძლდნენ — თერთმეტმეტრიანი საჯარიმო. მაყურებლებმა იხილეს მეტრეველის ბრწყინვალე დარტყმა და პენალტის უნაკლო გამოყენება. ანგარიში გახდა 2:0.

თამაშის მეორე ნახევარი, სამწუხაროდ, უფერული და უხეში იყო. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ მსაჯი იძულებული გახდა ორი მოთამაშე — ახუნდოვი და მესხი მოედნიდან გაეძევებინა. აქ უხეშობის წამომწყები და ინიციატორი ახუნდოვი იყო და ალბათ იგი სათანადოთაც დაისჯებოდა, რომ მესხს ასევე უხეშობით არ ეპასუხნა მისთვის.

რა გამოვიდა? ამ ინციდენტმა გარდა პირადი უსიამოვნებისა ორივე გუნდს ზიანი მიაყენა, რადგან ისინი სულ მცირე ერთ თამაშზე არ იქნებიან დაშვებული, ეს მაშინ როდესაც წინ არის ყველაზე ხანგრძლივი და პასუხსაგები გასვლითი მატჩები.

უხეშობის შედეგად თამაში წაკლებად საინტერესო გახდა. მეტოქეებს გოლი არ გაუტანიათ.

გაიმარჯვეს თბილისელებმა 2:0.

ვ. გაბელია.

მატჩები და შედეგები

გუშინ გაიმართა ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშების ოცდამესამე ტურის მატჩები ფეხბურთში „ა" კლასის პირველი ქვეჯგუფის გუნდებისათვის.

სსრ კავშირის ჩემპიონი და თასის მფლობელი მოსკოვის „სპარტაკი" საკუთარ მოედანზე შეხვდა კუიბიშევის „კრილია სოვეტოვს" და გაიმარჯვა 2:0.

დედაქალაქის ტორპედოელები თამაშობდნენ ერევნის „არარატის" წინააღმდეგ. მატჩის შედეგია 1:0 „არარატის" სასარგებლოდ.

შეხვედრა კიევში ადგილბრივ „დინამოსა" და დონეცკის „შახტიორის" გუნდებს შორის დამთავრდა კიეველთა გამარჯვებით 3:1.

ალმა-ათის „კაირატისა" და მოსკოვის „ლოკომოტივის" ფეხბურთელთა კოლექტივების შეხვედრის შედეგია ფრე 0:0.

„დინამო" (თბილისი — „ნეფტიანიკი" (ბაქო). 2:0 (2:0). თბილისი. 3 სექტემბერი. „დინამოს" სტადიონი. მსაჯი ს. არხიპოვი (მოსკოვი).

„დინამო" — კოტრიკაძე, სიჭინავა, ხურცილავა, ჩიხელი, ზვინკლოშვილი, პეტრიაშვილი, დათუნაშვილი, მეტრეველი, კალოევი, ბარქაია (იამანიძე), მესხი; „ნეფტიანიკი" — კოსენკოვი, ახუნდოვი, სიომინი, ჯალილოვი, ბრუტი, ტროფიმოვი, ტუაევი, გოლოდეცი, კუზნეცოვი, მარქაროვი, ალესკეროვი (გრაშევი).

ბოდნის კართან

ლიმილი, სიხარულის თბილი ღიმილი ეფრქვეოდათ ბაგეზე. მიდიოდნენ მორცხვად, ჩუმად, ზოგჯერ თითქმის უსიტყვოდ, ხან ტაატით, ხან ცუქცუქით. ზოგს დედისთვის მოეკიდა ხელი, ზოგი წინ უსწრებდა მშობელს და მაინც იხედებოდა უკან — ხომ არ ჩამომრჩაო.

მერე როგორ შვენოდათ პატარა ჩანთები! მიჰქონდათ „დედაენა", რვეულები, ცოტა საუზმე, ტკბილეულიც.

მაგრამ ყველაზე უტკბესი და სასიამოვნო მაინც პირველი სურათებიანი წიგნი იყო, ფაქიზად რომ შემოეკრათ თეთრი ქაღალდი. ვინ იცის, რამდენჯერ გადაფურცლეს ბაწაწინა თითებით, და რაცა რომელმე სურათი მოეწონებოდათ, დიდხანს უმზერდნენ, აკვირდებოდნენ, თავისებურად კითხულობდნენ, ვითომდა ანა-ბანა იცოდნენ, და წკრიალა ხმით იჭეოლებდნენ: ეს არის თითი, ეს უთო, ეს ურემი, ეს ჩიტი..

დილა იყო. ისინი პირველი ხატოვანი ქართული წიგნით მიდიოდნენ ცოდნის კართან, მიდიოდნენ შობლიურ სკოლაში, სადაც ბეჯითად სწავლით იჩარხება მათი მომავალი, ნათლდება გონება, მამულის სიყვარულით სპეტაკდება სული, იკაფება ცხოვრების დიდი გზა.

„გილოცავთ ახალ სასწავლო წელს!",

ამ წარწერით შეხვდა მათ სკოლის შენობა. იყო სიტყვები, მისალმებანი და... აწკარუნდა ნაცნობი ზარი.

როცა ერუანტელის მომგვრელი ზარის ხმა გავიგონე, გულში გავიფიქრე: ნეტავი დაბრუნდებოდეს ტკბილი ბავშვობა-მეთქი. რეკავდა იგი და თვალს ვერ ვაშორებდი პატარებს, დერეფანში რომ შეგროვილიყვნენ ჯგუფ-ჯგუფად. დედებიც იქ იყვნენ, თავიანთ შვილებს აბარებდნენ მეორე დედებს — აღმზრდელ მასწავლებლებს.

მრავალი ათეული სკოლაა თბილისში. მე მაინც ახალ რაიონებში — ვაკეში და საბურთალოში გამიწია გულმა, იქაური სკოლების ნახვა მეწადა. არჩევანი ჯერ ანგის ქუჩაზე მდებარე № 62 საშუალო სკოლაზე შეჩერდა. თავაზიანად მოგვეხალმა მისი დირექტორი, საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი გრიგოლ ონიანი.

— ვამაყობთ ჩვენი სკოლის წარმატებით. მას ბევრი გამოჩენილი ადამიანი აღუზრდია თავის კედლებში, ახლა ისინი სხვებს ასწავლიან ან თაობებს ზრდიან. აქ აღზრდილი მეცნიერ მუშაკების დასახელება შორს წაგვიყვანდა. მოვიგონოთ თუნდაც ერთი, საქვეყნოდ განთქმული ქალიშვილი.

ჩვენს სკოლასთან ერთად ასახელა სამშობლო ჭადრაკის მსოფლიო დედოფალმა ნონა გაფრინდაშვილმა. მან წარჩინებით დაამთავრა ჩვენი სკოლა, დანერგა აქ საუკეთესო ტრადიციები. ნონას გამოუჩნდა ღირსეული ცვლა, თბილისის ჩემპიონი გახდა მოსწავლეთა შორის ციცინო კახაბრიშვილი. იგი გუშინწინ გაფრინდა ქ. ჩელიაბინსკში ქალთა საჭადრაკო შეჯიბრების ნახევარფინალში მონაწილეობის მისაღებად. კეთილი სურვილით, გამარჯვების იმედით გავაცილეთ მეთერთმეტეკლასელი გოგონა. გვჯერა მისი.

წელს პირველად შედგეს ფეხი ამ სკოლაში გულნარა აბულაძემ, მარინე გომაურელმა, ნათელა გურულმა, მარინე მჟავანაძემ, მანანა ყურაშვილმა, დავით ბლიაძემ, ზაზა ებრალიძემ, ზურაბ საყვარელიძემ, მიხეილ ჭაბუკიანმა და მრავალმა ათეულმა ბედნიერმა ბავშვმა.

დედობრივი ალერსით მოეფერნენ მათ აღმზრდელები, მათ შორის საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი ქეთევან ხვადაგიანი. წელს ქეთევანი მეორმოცედ ხვდება პირველკლასელებს. იგი მათ უნერგავს სწავლის, შრომისა და მშობლიური ქვეყნის სიყვარულს.

დადგება დრო და ეს ჩიორებიც ისეთივე ხოფოსნები გახდებიან, როგორიც არიან ამ სკოლის მეთერთმეტეკლასელები — თინათინ თევდორაშვილი, ჯუმბერ მარღანია, ავთანდილ ხმაიდაშვილი და სხვები.

პირველ გაკვეთილზე იყო თბილი საუბარი, დარიგება, გაცნობა. ბავშვები სულგანაბული უსმენდნენ მასწავლებელს და როგორც კი ზარი დაირეკა, სირბილით გამოიჭრნენ დერეფანში დედების, ბებიების სანახავად. ისინიც ხომ იქვე იდგნენ და მღელვარებით ელოდნენ თავიანთ თვალის სინათლეს — შვილებს, შვილიშვილებს.

— როგორ მოგწონს, შვილო, ხომ კარგი ყოფილა სკოლა? მერე უფრო შეგიყვარდება. ჩვენც მოვალთ, გნახავთ და როცა ყველაფერს მორჩებით, შინ წაგიყვანთ. გვიამბე რა გითხრა მასწავლებელმა, — ეუბნებოდნენ მშობლები და ღიმილით დაჰყურებდნენ კაბის კალთაზე მიკრულ ნორჩებს.

რა ტკბილია ბავშვობა. მერე რა ჩქარა უმეგობრდებიან ერთმანეთს დღემდე უცნობი ნორჩები. თამაში ხომ უფრო აახლოებთ მათ, მაგრამ რა შეედრება იმ წუთებს, როცა პირველად მოხაზავენ რვიულში ა-ი-ას, კითხვაში გატეხენ ენას, მთელი ხმით გეტყვიან „მოდი, ვნახოთ თხა" და, ბოლოს, ლექსსაც ჩაბულბულებენ ხელების მოძრაობით, მთელი განცდით.

სწორედ აქედან, პირველი ხატულა წიგნის კარგად დაუფლებით იწყება მშობლიური წიგნის სიყვარული, გონების თანდათანობით გახსნა, და შემდეგ საუკეთესო დანახვა გამჭრიახი თვალით. პირველი ტაბელი გაკვეთილი მომავლის შეცნობის დიდ გაკვეთილად იქცევა. სწავლა კეთილი შრომაა. და რაოდენ სასახარულოა, რომ ამ კეთილ შრომას ასე სიყვარულით ეწაფებიან საბჭოთა ბავშვები.

ვიყავი № 55 საშუალო სკოლაში.

— ძალიან ბევრი ეტანება ჩვენს სკოლას, — ამბობს სკოლის დირექტორი იპოლიტე სურგულაძე, — რა ვქნათ, 1.340 მოსწავლე გვყავს ამჟამად. ზოგიერთ მერხზე სამ-სამი ბავშვი უნდა დავსვათ, მეტწილად პირველკლასელები, — უამრავმა ტურისტმა და ექსკურსანტმა გაიარა წელს საქართველოს ტურისტულ გზა-ბილიკებზე — ჩვენს რესპუბლიკაში ხომ ათობით ტურისტული მარშრუტი გადის. აი ამ სურათზეც თქვენ ხედავთ ექსკურსანტების აღტაცებულ სახეებს — ისინი ვარძიისაკენ მიემართებიან.

ფოტო ა. ჩარკვიანისა.

კაპაგლანკას ხსოვნის ტურნირზე

ჰავანა, 3 სექტემბერი, (საკდისი). კაპაბლანკას ხსოვნის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის მეექვსე ტურში სსრ კავშირის ჩემპიონმა ვ. კორჩნოიმ მოუგო ე. ხიმენესს, ხოლო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩემპიონმა ვ. ულმანმა—დ. გარსიას. რ. ვეიდმა მოუგო რ. ორტეგას. ე. გელერ-კ. დარგეს, ა. ო'კელი-ფ. პერესს, პ. ტრიფუნოვიჩ-გ. ბარცას და კ. რობაჩ-ლ. პახმანის შეხვედრები ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ადრე დაუმთავრებელ პარტიებში ე. გელერმა მოუგო ე. კობოს, დ. გარსიამ—კ. კალეროს, რომელიც ყაიმზე დაეთანხმა ვ. ულმანს გადადებულ პოზიციაში.

ექვსი ტურის შემდეგ კვლავ ლიდერობენ ვ. კორჩნოი და ე. გელერი, რომლებმაც 4,5 ქულა მოაგროვეს (თითოეულმა) ექვს შესაძლებელში. მსოფლიოს ექსჩემპიონს მ. ტალს და ბ. ივკოვს (იუგოსლავია) აქვთ ოთხ-ოთხი ქულა ხუთ შესაძლებელში და თითო დაუმთავრებელი პარტია. მათ მოსდევენ გ. ბარცა (უნგრეთი), ა. ო'კელი (ბელგია), და ლ. პახმანი (ჩეხოსლოვაკია), რომლებსაც ოთხ-ოთხი ქულა აქვთ.

სწავლობს გიგლა ტიტინა...

ფოტოეტიუდი გ. გოგობიანი.

სპორტული სექტემბერი

აგვისტო სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებათა თვე იყო. ბუნებრივია, რომ საერთაშორისო შეხვედრები თითქმის არ ყოფილა. სექტემბერი კი სხვანაირად გამოიყურება. ძნელია მოინახოს სპორტის ისეთი სახე, რომელშიც ამ თვეში საბჭოთა სპორტსმენებს შერკინება არ ექნეთ უცხოელებთან.

სტუდენტთა საზოგადოება „ბურეგესტნიკის" სპორტსმენები წავიდნენ ბრაზილიაში, მსოფლიო უნივერსიადაზე, რომელიც 30 აგვისტოს დაიწყო და 8 სექტემბრამდე გასტანს. სსრ კავშირის გუნდი მონაწილეობას მიიღებს სტუდენტთა შეჯიბრების პროგრამის 9 სახეობიდან 7-ში. ნაკრების შემადგენლობაში არიან ცნობილი საბჭოთა სპორტსმენები: ტანმოვარჯიშეები იური ტატოვი, ლარისა ლატინინა, მძლეოსნები ვალერი ბრუმელი, ეგორ ტერ-ოვანესიანი, გენადი ბლიზნეცოვი — სულ 63 კაცი. ისინი გაფრინდნენ კარგი მბრძოლური განწყობილებით.

შორეული ბრაზილიიდან გადავიდეთ ევროპაში.

სექტემბრის პირველ რიცხვებში იუგოსლავიაში დაიწყება მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკე ქალთა ოლიმპიადა.

საბჭოთა კავშირის კალათბურთის ნაკრები გუნდები, ვაკეები და ქალები, საფრანგეთში გაემგზავრებიან, სადაც ამხანაგური შეხვედრები ექნებათ საფრანგეთის სპორტსმენებთან. ფრენბურთელები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოვლენ.

მრავალი საერთაშორისო შეხვედრა იქნება სექტემბერში წყალჯიმარდობის სხვადასხვა სახეში. 6-8 სექტემბერს მოსკოვში ეწყობა ევროპის ჩემპიონატი აკადემიურ ნიჩბოსნობაში ქალთა შორის. თვის პირველ რიცხვებში ბელგრადში იუგოსლავიელ სპორტსმენებთან ამხანაგურ შეხვედრაზე მიდის სსრ კავშირის უძლიერეს მცურავთა ჯგუფი. რამდენიმე დღის შემდეგ კი მცურავთა მეორე ჯგუფი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გაემგზავრება. დიდი ინტერესით მოელიან საბჭოთა ბრასისტების გამოსვლებს. უკანასკნელ თვეებში ისინი კონტინენტის რამდენიმე რეკორდის მფლობელნი გახდნენ, და ამჟამად მათგან ახალ კარგ შედეგებს უნდა მოველოდეთ.

არც საბჭოთა წყალბურთელები ისხდებიან გულხელდაკრეფილნი. სექტემბრის დამდეგს სსრ კავშირში ჩამოდიან მათი კოლეგები ინგლიელნი, შემდეგ კი საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდი ტურნეს გამართავს უნგრეთსა და რუმინეთში.

ბევრი შეჯიბრება მოელით იაღქნინის სპორტის ოსტატებს: მსოფლიოს ჩემპიონატი „5,5" და „ვარსკვლავიესბრო" კლასებში — ამერიკის შეერთებულ შტატებში: „დრაკონის" კლასში — საბერძნეთში; „მფრინავი ჰოლანდიელის" კლასში — გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. საბჭოთა კავშირის იახტსმენები, ჩვენი აზრით, წარმატების ყველაზე მეტი შანსი აქვს პირველ ორ კლასში. ოლიმპიური ჩემპიონი ტიმორ პინეგინი მატრის თევდორე შუტკოვთან ერთად არაერთხელ გამოსულა გამარჯვებული საერთაშორისო შეჯიბრებებში თავის იახტა „ტორნადოთი". „5,5" იახტების კლასში უკანასკნელ ხანს წარმატებით გამოდის კონსტანტინე აღექსანდროვი, საბჭოთა ნაკრების ვეტერანი და საერთაშორისო შეხვედრათა უცვლელი მონაწილე.

7-დან 13 სექტემბრამდე შვეიცარიაში გაიმართება მსოფლიოს მორიგი ჩემპიონატი ძალოსნობაში, რომელიც საბჭოთა ძალოსნების პირველი ოფიციალური გამოსვლა იქნება სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადის შემდეგ.

22-26 სექტემბერს შვეიცარიაში გაიმართება მსოფლიოს პირველობა თანამედროვე ხუთჭიდში.

შორმა მოუწევთ ჩვენს მძლეოსნებსაც. ლენინგრადში თვის შუა რიცხვებში ერთმანეთს ხვდებიან რსფს რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და პოლონეთის ნაკრები გუნდები; ამის შემდეგ რუსეთის ფედერაციის გუნდი მიემგზავრება პარიზში, სადაც 21-22 სექტემბერს, მძლეოსნობის ისტორიაში პირველად, გაიმართება მატჩი საფრანგეთი-რსფსრ. თვის ბოლოს რუსეთის მძლეოსნებს მოელით კიდევ ერთი შეხვედრა — ინგლისის ნაკრებთან ვოლგოგრადში. სსრ კავშირის სტაციონარა ჯგუფი მიემგზავრება ჩეხოსლოვაკიაში, სადაც მონაწილეობას მიიღებს კროსში გაზეთ „რუდე პრავოს" პრიზზე.

სასპორტო საზოგადოება „დინამო" ხარკოვში მიიღებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ველოსიპედისტებს. 11-დან 18 სექტემბრამდე აქ გაიმართება შეჯიბრება ტრეკზე, ხოლო მათ თანაკლუბელ მსროლელთა გუნდი ბუქარესტში გაემგზავრება.

სსრ კავშირის არა მარტო ნაკრები გუნდი საზღვარგარეთელ კოლეგებს. შეხვედრებში ფართო მონაწილეობას მიიღებენ მოკავშირე რესპუბლიკების გუნდები. მაგალითად, აზერბაიჯანის კალათბურთელ ვაჟთა გუნდი უნგრეთში გაემგზავრება, ხოლო ბელორუსიის ვაჟთა და ქალთა გუნდები — პოლონეთში. აზერბაიჯანის სპორტსმენები (კლასიკური ჭიდაობა) გაემგზავრებიან გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ხოლო ყაზახეთის სპორტსმენები (თავისუფალი ჭიდაობა) — მონღოლეთში. ბელორუსიის სსრ, ლატვიის სსრ, ლიტვის სსრ და ესტონეთის სსრ ტანმოვარჯიშენი კიუნსაში მიიღებენ პოლონელ სტუმრებს, ხოლო აშხაბადში თურქმენი სპორტსმენები შეხვდებიან აზიის ყველაზე ღონიერ ადამიანებს — იქ შეიკრიბებიან ძალოსნები. გაიმართება მძლეოსანთა მთელი რიგი მატჩები: უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია და უკრაინის სსრ — კიევში, ფინეთი-ესტონეთი — ტალინში.

და დასასრულ ფეხბურთის შესახებ. მთელი თვის განმავლობაში იქნება მატჩები ჩვენი ქვეყნის პირველობაზე. სექტემბრის პირველ რიცხვებში გაიმართება ამხანაგური შეხვედრა ნაკრები გუნდებისა სსრ კავშირი — ბულგარეთი და სსრ კავშირი — უნგრეთი. საბჭოთა ფეხბურთელებთან სტუმრად ჩამოვიდა გვინეის რესპუბლიკის ფეხბურთელთა გუნდი, რომელიც გამოვა კრასნოდარში და სსრ კავშირის სხვა ქალაქებში.

ჰარმონიის ძიება

ტექნიკური ესთეტიკა და ადამიანის ჯანმრთელობა

ძნელია გავაცალოთ ზღვარი სილამაზისა და მიზანშეწონილობის ცნებებს შორის, განსაკუთრებით ტექნიკის სამყაროში. ჩვენს დროში გაჩნდა ახალი დარგი — ტექნიკური ესთეტიკა. მისი სპეციალისტები ეძებენ საწარმოო ინტერიერის, მანქანების, ჩარხების ყველაზე ჰარმონიულ ფორმებს. მაგრამ ახალი მანქანების შექმნისას არ შეიძლება არ ვითვალისწინებდეთ ადამიანის ორგანიზმის მოთხოვნებს, ამიტომ დღეს კონსტრუქტორს უერთდებიან მხატვარი, ფიზიოლოგი და ფსიქოლოგი.

ამას წინათ საბჭოთა კავშირში შემუშავდეთ იქნა პროექტი „მანქანათსამშენებლო წარმოების კულტურა".

საამქროს ინტერიერის გაფორმების რეკომენდაციებს შორის ძირითადი ყურადღება დათმობილი აქვს მის შეღებვას. თვალში გეცემათ ღია მწვანე ელფერთა სიუხვე. ასეთი არჩევანის მიზეზს გვიხსნის ფიზიოლოგი ევგენი რაბკინი, რომელიც კონსულტაციას უწევდა პროექტს: მწვანე ფერი ამცირებს თვალშიდა წნევას, ამახვილებს სმენას, ხელს უწყობს სისხლის სწორ მიმოქცევას, ერთი სიტყვით, კეთილმყოფელ გავლენას ახდენს განწყობილებასა და შრომისუნარიანობაზე.

„ჩვენც კი, მედიკოსები, რომლებსაც თეთრი ფერი მედიცინის კლასიკურ ფერად მიგვაჩნდა, ახლა საოპერაციოებს ღია მწვანე ტონებით ვღებავთ... ნაკლებად გრძნობ დაღლილობას", — წერს სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნიკოლოზ ბლოხინი.

იმ დახასიათებათა აზრი, რომლებსაც სხვადასხვა ფერებს მხატვრები აძლევენ— „თბილი" თუ „ცივი", „მსუბუქი" თუ „მძიმე", „დამანაწევრებელი" თუ „გამაერთიანებელი" —იხსნება ახალ პროექტში. მის მიხედვით ცხელ საამქროებს თეთრად და ცისფრად ღებავენ, მძიმე მანქანებს ღია ტონებით და ასე შემდეგ. ფერი „აფართოებს" ქარხნის სათავსების კედლებს, უფრო განიერსა და მაღალს ხდის მათ.

„ორგანიზაციონრომის" რეკომენდაციები საამქროების შეღებვის შესახებ უკვე განხორციელდა ათობით მანქანათსამშენებლო საწარმოებში. საღებავთა სასარგებლო შეხამებას რომ შეარჩევენ, ინჟინრები და მხატვრები ზრუნავენ ფერისა და შუქის სწორი თანაფარდობისათვის. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ისინი პოულობენ სანათების უკეთეს ფორმას, განაალაგებენ მათ ფერადი სიბრტყეების სხვადასხვა არეკვლითი უნარისა და კონტრასტების გათვალისწინებით.

მოსკოვის არქიტექტურული ინსტიტუტის თანამშრომლებმა, საათის ერთ-ერთ ქარხანაში შრომის პირობები რომ გამოიკვლიეს, დაადგინეს, როგორი უნდა იყოს სხვადასხვა ფერების არეკვლის კოეფიციენტები, სამუშაო ობიექტსა და მეზობელ ზედაპირებს შორის განათების თანაფარდობა. შეღებვისა და გაშუქების სქემებს, რომლებსაც არქიტექტორებმა მიაგეს, ზუსტი მექანიკის ბევრ ქარხანაში იყენებენ.

საბჭოთა ადამიანები ბგერის კეთილმყოფელ შესაძლებლობებსაც უფიქრდებიან. ერთ-ერთ კიბერნეტიკულ ლაბორატორიაში ინჟინერი ანდრია პროხოროვი ქმნის ხელსაწყოს, რომელიც ახდენს სასიამოვნო რიტმული ბგერების გენერაციას; თავის აპარატს მან „განწყობილების გენერატორი" უწოდა.

სუფთე საამქროს ვითარების მცირე მნიშვნელობის კომპონენტი როდია. ჯერჯერობით ქარხნებში მას ებრძვიან, მაგრამ შესაძლოა მომავალში მეცნიერებმა შექმნან „სუნის გენერატორები", რომლებიც საამქროებს სასიამოვნო არომატებით ავსებენ.

დღეს მუშა სულ უფრო ხშირად დგას არა ჩარხთან, არამედ მართვის პულტთან. პულტი ის კვანძია, სადაც თავს იყრის ყველა ტექნიკური სისტემის ორხები, იგი დღეკანდელი და ხვალინდელი წარმოების პირობებიც არის, ვინაიდან ოპერატორი მუდმივ დაძაბულ მდგომარეობაშია.

კომპლექსური ავტომატიზაციის ცენტრალურ სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში უკანასკნელ გამოცდებს გადის იმ თბოელექტროცენტრალის მართვის პულტი, რომელიც დენს მისცემს მოსკოვის ახალ რაიონს ხიმკი-ხოვრინოს. მექანიკური შრომის მეტ ნაწილს აქ მმართველი გამომთვლელი მანქანა კისრულობს, ოპერატორი კი მხოლოდ წარმართავს და არეგულირებს პროცესების სვლას.

წინათ ასეთი პულტის თხუთმეტმეტრიან ფარზე განლაგებული იყო მართვის 200 უჯრედი. ახლა პანელის სიგრძე შემცირებულია 7 მეტრამდე, უჯრედების რიცხვი კი 50-მდე შემცირდა. ციფრები ისეა აღებეზედილი, რომ მათ ადვილად დაიხსომებ და ერთმანეთში არ აგერევა.

სტენდის კომპოზიცია და მისი ელემენტების დაჯგუფება შეიმეშავა ფსიქოლოგიის ინსტიტუტში პროფესორმა დიმიტრი ოშანინმა, კონტურებია, ნიშნების, სასიგნალო წერტილების ფერი შერჩეულია ფერითი მხედველობის ლაბორატორიის ხელმძღვანელის ევგენი რაბკინის რეკომენდაციებით.

ოპერატორი ადვილად ერკვევა ამ რთულ მეურნეობაში — არა მარტო იმიტომ, რომ კნოპებისა და ბერკეტების რიცხვი შემცირდა: მთელი მართვა აგებულია საინჟინრო ფსიქოლოგიისა და ტექნიკური ესთეტიკის უახლესი მონაცემების გათვალისწინებით.

საზღვარგარეთის სპეციალისტებს, რომლებმაც საკმაოდ დიდი გამოცდილება შეიძინეს შრომის პირობების მოდერნიზაციაში, მოჰყავთ საყურადღებო ციფრები, რომლებიც ამართლებენ წარმოებაში ესთეტიკურ რეფორმებზე გაწეულ დანახარჯებს. **სხვადასხვა გამოანგარიშებით მარტო ფერისა და შუქის რაციონალურ გამოყენებას შეუძლია 15-20 პროცენტით გაადიდოს შრომის ნაყოფიერება.** მაგრამ შეიძლება ითქვა ეს არა ეს ციფრები ასეთი ძიების საბოლოო მიზანს წარმოადგენდეს ჩვენს ქვეყანაში? არა. მთავარი, რასაც ჩვენ შრომის პირობების შემსუბუქებისაგან მოველით. ის არის, რომ შეეუხარჩუნოთ მუშებს ჯანმრთელობა და გავაუმჯობესოთ მათი განწყობილება მაღალ შრომითს აქტივობასთან შეხამებით. ამით მიღებული სარგებლობა არაფრით არ შეიძლება აღირიცხოს.

კომუნისტი

გათამაშების ცხრილი

პირველი ქვეჯგუფი

მდგომარეობა 4 სექტემბრისათვის

	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" (მ.)	13	7	2	30—7	33
„დინამო" (თბ.)	13	7	3	41—22	33
„სპარტაკი" (მ.)	14	3	6	42—21	31
„ზენიტი" (ლ.)	10	10	3	33—21	30
„დინამო" (კ.)	11	6	6	43—30	28
„დინამო" (მნ.)	10	8	5	33—21	28
ცსკა (მ.)	8	12	3	16—11	28
სკა (როსტ.)	10	6	7	37—22	26
„ტორპედო" (მ.)	8	8	7	29—23	24
„ნეფტიანიკი" (ბ.)	10	4	9	29—31	24
„ტორპედო" (ქ.)	6	12	5